# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 ივლისი 2008 №160 (3384) ფასი 50 თეთრი


# შვიდკაცური ამბავი

## ქართველ მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრები მსოფლიოს თასზე ითამაშებს



ეს ამბავი გუშინწინ ჰანოვერში, ევროპული სერიის ფინალურ ეტაპზე გაირკვა. ჩვენებმა ტურნირის პირველ დღეს მიჯრით დაამარცხეს რუსეთი, მასპინძელი გერმანია, რუმინეთი და ესპანეთი. ამით ნახევარფინალში გასვლაც დაიბევეს და მსოფლიოს თასზე თამაშიც. ჩვენებმა ეს არ იკმარეს და ტურნირზე ბოლო, მე-12 ნომრად განთესილებმა საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს. დუბაის მსოფლიოს თასი საქართველოს შვიდკაცა ნაკრებისთვის მესამე იქნება.

# ამერმა ერთი იცის: მოვალეა, იბრძოლოს!



გეცოდინებათ, რომ ბოლო დღეებში ერთ-ერთ საუკეთესო და პოპულარულ ქართულ კლუბ „ამერში“ ვითარება მეტისმეტად დაიძაბა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ გუნდს საწვრთნელი პროცესი ჩაეშალა. კლუბის ხელმძღვანელობაც და ფეხბურთელებიც კომენტარებში სიტყვაძუნწნი არიან, რაც სავსებით გასაგებია. ერთადერთი, რაც ითქვა, ის არის, ვითარების დაძაბვის მიზეზი სახელფასო დავალიანებააო. ზოგადად, ფინანსური პრობლემები ქართული კლუბებისთვის უცხო სულაც არ არის, მაგრამ, „ამერს“ ეს პრობლემა აქამდე არ შეხებია და დასანანიც სწორედ ისაა, ეს პრობლემა მასაც რომ გაუჩნდა. ადრეც გვითქვამს და ერთხელაც ვიტყვით, რომ ფინანსური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები ქართულ ფეხბურთში ძალიან ვრცელი თემაა და მასზე მსჯელობა აუცილებლად მოგვიწევს, ქვემოთ კი ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხებით: გუშინ „ამერში“ საერთო კრება ჩატარდა და მისი შედეგების გასაგებად კლუბის მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩიხრაძეს შევეხმიანეთ.

## ჩიხრაძე ემოციებისგან დაიცალა, ოღონდ არა ბრძოლის ჟინისგან

— დიახ, კრება ჩავატარეთ. შექმნილ სიტუაციაში საჭირო იყო პოზიციების დაზუსტება და ასეც მოხდა, ფეხბურთელებმა თავისი თქვეს და კლუბის პრეზიდენტის მოსაზრებებიც მოისმინეს.

**— შეგიძლიათ, საუბრის შინაარსი დააკონკრეტოთ?**

— სასაუბრო კიდევ გვაქვს, თანაც შიდა ამბებზე ლაპარაკი კორექტულიც არ იქნება.

**— მაშინ ასე გკითხავთ: საუბრით კმაყოფილი თუ ხართ და თუ თვლით, რომ ამ კრების შემდეგ გუნდში სიტუაცია გამოსწორდება?**

— ბოლო დღეებმა ემოციებისგან ისე დამცალა, რომ კმაყოფილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც შეეხება მდგომარეობის გამოსწორებას, გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს. ჩემი სურვილია, გამოსავალი ყველასთვის მისაღები იყოს.

**— კონფლიქტიდან გამომდინარე, გუნდში ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— ფეხბურთელების გუნდიდან გუნდში გადასვლა ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ, ვინმე თუ წავა, აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც შექმნილ ვითარებას დავუკავშიროთ. ჩვენ აქამდეც არაერთხელ გვქონდა სიტუაცია, როდესაც ფეხბურთელი თვლიდა, რომ კარიერის გაგრძელება სხვა კლუბში ერჩივნა, ეს გასაგები სურვილია და ჩვენც ხელი არავისთვის შეგვიშლია. ყველა ფეხბურთელს, ვისაც ჩემთან უმუშავია, წარმატებას ვუსურვებ.

**— სეზონის დასრულების მერე გუნდიდან გიორგი დავითნიძე, დიმიტრი ტატანაშვილი, დენის დობროვოლსკი წავიდნენ. მათი შემცვლელები თუ გყავთ და, საერთოდ, რამდენად ბრძოლისუნარიანი იქნება „ამერი“ ახალ სეზონში და რამდენად რეალური იქნება ჩემპიონობისთვის და თასისთვის ბრძოლა?**

— კონკრეტულ მიზნებზე ახლა პასუხის გაცემა მიჭირს, უახლოეს მომავალში ყველაფერს გავაანალიზებთ და მიზნებსაც დავსახავთ. იმას კი ახლავე გეტყვით, რომ „ამერი“ ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება.

**გიორგი დარჯანია**

# დაელოდეთ 28 ივლისს

## უჩა უგულავა: ფინკესთან დეტალებიღა დარჩა



**ფოლკერ ფინკე საქართველოდან წავიდა. წავიდა კმაყოფილი და თითქოს რაღა დარჩა კონტრაქტის გაფორმებამდე — ფინანსური მხარე? არც ეს ყოფილა დიდი პრობლემა და შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 60 წლის გერმანელი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში მუშაობასთან ძალიან ახლოსაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ფინკესთან თითქმის ყველაფერი შეთანხმებულიაო...**

— სამშაბათს ფოლკერ ფინკე გვეტყვის საბოლოო პასუხს. პრინციპში, გასარკვევი ბევრიც არაფერი დარჩა. მხოლოდ დეტალებიღაა.

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ფინკე იქნება?

— ჯერ არა. შესაძლოა, ამ დღეებში ავრაამ გრანტიც გვეწვიოს თბილისში. ფინკესთან შეთანხმება იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის უკვე ნაკრების მწვრთნელია.

— ფინკესთან ფინანსებზე უკვე შეთანხმდით?

— დეტალებიღა დარჩა.

— ფინკე, გრანტი, ზიკო — ნაკრების მწვრთნელი ერთ-ერთი ამათგანი იქნება?

— ჯერ ამასაც ვერ გეტყვით ასი პროცენტით. თუ ამ დღეებში გამოჩნდა სხვა საინტერესო კანდიდატი, მასთანაც ვეცდებით მოლაპარაკებას.

— და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთბაშად ორი ან სულაც სამივე მწვრთნელი იქნება თანახმა?

— ასეც და ისეც, აღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი. ფედერაციის აღმასკომის სხდომა 28 ივლისსაა და მაშინ გაირკვევა...

**ილია ნანოზაშვილი**

# გიგიაძის ინტერ-გოლი

**სიმფეროპოლის** „ტავრიამ" 3:1 დაამარცხა მოლდოვური „ტირასპოლი" და ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპზე გავიდა.

უკრაინელებმა ულაპარაკოდ მოუგეს მეტოქეს და სასიამოვნოა, რომ გუნდს ერთი გოლით ქართველი ახალწვეული, ვასილ გიგიაძე შეეწია.

ვასომ სრულად ითამაშა და გოლამდეც ჰქონდა მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენა. გიგიაძის 51-ე წუთზე გატანილით ანგარიში 3:0 გახდა, მოლდოველებმა კი ბოლო წუთზეღა შეძლეს ერთის გაქვითვა.

შეგახსენებთ: პირველი მატჩი 0:0 დასრულდა.

**კახა შალამბერიძე**

# ზესტაფონს კესანი დაეკარგა!

## უეფას თასს იმერლები ტრავმებით ხვდებიან

**უცხოური** შეკრებიდან დაბრუნებულმა „ზესტაფონმა" გუშინ „მიხეილ მესხზე" „გაგრასთან" ტესტ-მატჩი გამართა — შეხვედრა 3:3 მორჩა.

პირველ ტაიმში იმერლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და სამი გოლიც გაიტანეს.

მე-12 წუთზე ჟილვან ვიეირამ მარცხენა ფრთაზე გაინავარდა, საჯარიმოშიც შეაღწია და ანგარიშიც გახსნა. მეორე გოლი კი 38-ე წუთზე ირაკლი ძარიას ჩაწოდების შემდეგ ბექა გოცირიძემ თავით გაიტანა. ტაიმის მიწურულს კი გაგრელებმა უხეიროდ ითამაშეს დაცვაში, ამჯერად გოცირიძემ უპასა ძარიას და მანაც აუღელვებლად გაიტანა.



მურთაზ დაუშვილმა (№22) „ზესტაფონში" დარჩენა გადაწყვიტა

მეორე ნახევარში გუნდებმა ბევრი შეცვლები განახორციელეს და თამაშის ხასიათიც შეიცვალა. ისიცაა, რომ გაგრელები ხისტად თამაშობდნენ, მოგეხსენებათ, „ზესტაფონს" რამდენიმე დღეში ევროთასზე ელის თამაში უნგრულ „დიორ ეტოსთან" და ტრავმებს ერიდებოდა, თუმც ამას ვერ ასცდა — ნიკოლოზ სტეფანიშვილის, ირაკლი ძარიას და შალვა ღონღაძის უნგრეთში წასვლა საეჭვოა.

გაგრელთა პირველი გოლი ირაკლი ხელაძემ გაიტანა — მან ბურთი ცხრიანში ჩააჭედა. ზესტაფონელებს რამდენჯერმე ჰქონდათ გატანის შანსი, თუმც ეს ვერ მოახერხეს. „გაგრამ" ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და მატჩის მიწურულს ლექსო აბაშიძემ ორჯერ დაამწუხრა რონ კვასხვაძე — ჯერ გიორგი კვანტალიანის კარგი პასი შეირგო, ბოლო წუთზე კი კუთხურს არეულობა მოჰყვა ფეროელთა საჯარიმოში და აბაშიძემ ამითაც ისარგებლა 3:3.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

*ზესტაფონი: ჭანტურია (რ. კვასხვაძე 46), სანტოსი, ლობჟანიძე (შ. ღონღაძე 63), ფრიდოლინი, ს. თოდუა (მაკარიანი 46), მ. დაუშვილი, სტეფანიშვილი (ჩასუმი 14), რ. ონიანი (გორგიაშვილი 65), ძარია (ნ. კვახსვაძე 46), ვიეირა (გელაშვილი 46), ბ. გოცირიძე (იონანიძე 46).*

*გაგრა: ნაჭყებია (კოტრიკაძე 46), გ. კვანტალიანი, ქაჯაია, ნ. მგელაძე, გაბუნია (ხელაძე 46), ლალიანი, გაბედავა, შარიქაძე (ჩოჩია 58), დათუნაშვილი (ყიფიანი 50), სუხიშვილი (კორიფაძე 50), მეტრეველი (აბაშიძე 55).*

„ზესტაფონი" უნგრეთში 16 ივლისს წავა — ჯერ ავსტრიაში ჩაფრინდებიან და იქიდან ავტობუსით ჩავლენ უნგრეთში. ამ მატჩისთვის აუცილებლად უნდა ჩამოსულიყო გაბონელი პოლ კესანი, რომელიც კლუბმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის გაათავისუფლა. როგორც იმერულ კლუბში გვითხრეს, მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება და, ფაქტობრივად, „დიორ ეტოსთან" კესანის თამაში გამორიცხულია.

**ნუგზარ ლოლაძე**



# ყენიამ შალკეს გოლიც ანახა

**პირველი** გოლი მიითვალა „შალკეს" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან ყენიამ, რომელმაც გელზენკირხენულ გუნდში სულ რაღაც მესამედ ითამაშა.

„შალკე" ამჯერად ქვედალიგელ „ვიქტორიას" გაეჯიბრა ამხანაგურად და მისგან ქვა ქვაზე არ დატოვა — 11:0.

17 წლის ყენია მოედანზე 71-ე წუთზე შეუშვეს გამოცდილი ფაბიან ერნსტის ნაცვლად და 14 წუთში გოლიც გაიტანა.

65-ე წუთიდან თამაშში შალკელთა მეორე ქართველი, ლევან კობიაშვილიც ჩაერთო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონმა სიმურგი გაათანაბრა

**გრიგოლეთში** შეკრებაზე წასვლის წინ ბოლნისის „სიონმა" ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა აზერბაიჯანულ „სიმურგთან" და 2:2 ეთამაშა.

ბოლნისელები 0:2-ს აგებდნენ. საერთოდ, პირველი ტაიმი სტუმრებისა იყო, თუმც შემდეგ ოთარ კორღალიძემ რამდენიმე შეცვლა განახორციელა და ბოლნისელებმაც ანგარიში გაათანაბრეს. „სიონიდან" გოლები ლევან სილაგაძემ და ირაკლი შენგელიამ გაიტანეს, სტუმართაგან კი ერთი გოლით დავით ბოლქვაძე გამოირჩა, რომლის გარდა ამ მატჩში კახა ჩხეტიანმაც ითამაშა, მისი ძმა ზვიადი და მიხეილ მახვილაძე კი არ გამოჩენილან.

„სიონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მამალაძე, ქურასბედიანი, დ. სვანიძე, ქემოკლიძე, ხუბუა, სილაგაძე, სანიკიძე, ზ. ავალიანი, კოშკაძე, შ. ჯიქია, გონჩაროვი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ზ. ჭელიძე, ი. შენგელია, ლ. ბაჯელიძე, შავგულიძე, გ. ოქროპირიძე, ბ. ნოზაძე.*

ჭელიძესა და ბაჯელიძეს ახალციხის „მესხეთში" აღარ გაანათხოვრებენ, ორივე გრიგოლეთში გაჰყვება გუნდს. ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა გიორგი კახელიშვილის „სიონში" ჩარიცხვა, თუმც ამ თემაზე მოლაპარაკება გრძელდება.

გრიგოლეთში „სიონი" რამდენიმე ტესტ-მატჩს ჩაატარებს — 17-ში თბილისის „ლოკომოტივთან", 20-ში ზუგდიდის „ბაიასთან", 24-ში საჩხერის „ჩიხურასთან". ასევე დაგეგმილია მატჩები რუსთავის „ოლიმპთან" და ფოთის „კოლხეთთან".

„სიონი" 29 ივლისს დაბრუნდება და საქართველოს თასისთვის მზადებას ადგილზე გააგრძელებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტრნავა კაპიტნით იგებს

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას" საუეფასთასო მეტოქე ტრნავას „სპარტაკმა" ამხანაგურ მატჩში ჩეხურ „ჟიჟკოვს" 2:0 მოუგო და ორივე გოლი კაპიტანმა, სლოვაკეთის ნაკრების მცველმა, პეტერ დოლეჟაიმ გაიტანა 36-ე და 55-ე წუთებზე.

დოლეჟაის ტრავმა ჰქონდა, ორი კვირა არ ვარჯიშობდა და ამბობდნენ, კლუბის შეცვლა სურსო, თუმც არსად წასულა და გოლებიც გააქვს.

ტრნაველთა შემადგენლობა ასეთი იყო: *I ტაიმი: პრდინა — პონჩაკი, დოლეჟაი, ჩიფერსკი, ლ. ჰანცელი — დიურიში, კოპუნეკი, იელენკოვიჩი, პერესი — კოჟუხი, ფილიპოვიჩი.*

მეორე ტაიმში შევიდნენ: *პროპაზკა, ტომჩაკი, იაკუბჩიკა, ბერნატი, კოპაჩკა, ჰლავატოვიჩი, გულდანი, მიჩიჩი, ვანაკი.*

შეგახსენებთ, რომ „სპარტაკი" — „ვიტ ჯორჯია" ტრნავაში 17 ივლისის გაიმართება და ჩვენი დროით, 21 საათზე დაიწყება.

**ილია ნანოზაშვილი**

ფეხბურთი
თბილისი. ეროვნული სტადიონი
ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი
16 ივლისი
დინამო — რუნავიკი
საქართველო ფარერები
დასაწყისი 18 საათზე. ბილეთის ფასი 3, 5, 7 ლარი



# მილანის წინადადებას არ დავთანხმდები

## კახა კალაძეს ნაკრების ეიმედება

**საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ უკრაინულ sport-ს ინტერვიუ მისცა, რასაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...**

**— რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია, რომ მალე დაქორწინებას აპირებთ?**

— ბოლო პერიოდში ეს კითხვა ბევრმა დამისვა, მაგრამ ცოლის მოყვანას ჯერ არ ვჩქარობ.

**— გამოდის, ეს მორიგი ბულვარული ჭორია?**

— როგორ გითხრათ... სერიოზული ურთიერთობა მაქვს ერთ გოგონასთან, მაგრამ ქორწილზე საუბარი ჯერ ადრეა.

**— ვინ არის თქვენი რჩეული? ქართველი, უკრაინელი თუ იტალიელი?**

— პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ გეტყვით, რომ ის ქართველია — ანუკი არეშიძე. ამის მეტს ამ თემაზე არ გეტყვით. არასოდეს მესმოდა იმ ხალხის, რომლებიც ინტერვიუებში ძალიან პირადულ და ინტიმურ საკითხებზე ღიად საუბრობენ.

**— მოდით, მაშინ ფეხბურთზე ვისაუბროთ. განვლილი სეზონი „მილანმა“ აშკარად ჩააგდო — კლუბი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა და სერია A-ში მე-5 ადგილი დაიკავა. გუნდის წარუმატებლობას რით ახსნით?**

— „მილანის“ წარუმატებლობაში თავისი როლი ბევრმა ფაქტორმა ითამაშა. ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტრავმები შეიძლება ჩაითვალოს. ამის გამო მწვრთნელს ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლა ხშირად უხდებოდა. მაგალითად, როდესაც პაოლო მალდინიმ ტრავმა მიიღო, მისი ადგილის დაკავება მე მომიხდა. საერთოდ, „მილანში“ ბევრი ასაკოვანი ფეხბურთელია და კლუბის ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რომ გაახალგაზრდავება არ გვაწყენს. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა უკვე მიდის.

**— დადიოდა ჭორები, რომ წარმატების მიღწევაში კლუბს ხელი შიგნით არსებულმა არასასურველმა ვითარებამ შეუშალა...**

— ეს სრული სისულელეა. „მილანი“ ძალიან მეგობრული გუნდია. ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ერთმანეთში საუცხოო ურთიერთობა აქვთ.

**— ვისთან მეგობრობთ?**

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. განსაკუთრებით კი, ნესტასთან და მალდინისთან. ასევე საუცხოო დამოკიდებულება მაქვს ბრაზილიელებთან, რომლებიც ძალიან მეგობრული ბიჭები არიან და იუმორის კარგი გრძნობა აქვთ. რაღაცით ქართველებსაც კი ჰგვანან. ზოგჯერ საკუთარ თავზეც ხუმრობენ და არც სხვის ხუმრობაზე ბრაზდებიან.

**— მომავალ სეზონში „მილანი“ რა მიზანს ისახავს?**

— ამას ბევრი განსჯა არ სჭირდება. დიდი ხანია, „მილანში“ ვთამაშობ და მიზანი ყოველთვის ერთია — ყველა ტიტულის მოგება.

**— საკლუბო დონეზე პრაქტიკულად ყველა ჯილდო მოიპოვეთ, ხოლო ნაკრებში საქმე არცთუ კარგად მიგდით. არ გწყინთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი დიდ საფეხბურთო ტურნირზე მოხვედრას ვერ ახერხებს?**

— საწყენია, რადგან ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან მსურს. თუმცა, ჯერჯერობით, ჩვენთვის ეს გადაულახავ ბარიერად რჩება. ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც ევროპის ძლიერ კლუბებში წამყვან ფეხბურთელებად ითვლებოდნენ. მიუხედავად ამისა, ერთიანი გუნდის შექმნა ვერ შევძელით. ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერც ფრანგმა ალენ ჟირესმა და ვერც გერმანელმა კლაუს ტოპმიოლერმა შეძლეს. იმედი მაქვს, კარიერას ისე არ დავასრულებ, რომ დიდ საფეხბურთო ტურნირზე არ ვითამაშო.

**— ესე იგი, ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ გეგმავთ...**

— მსგავსი რამ არც მიფიქრია. მართალია, მოზარდი არ ვარ, მაგრამ დღესდღეობით 30 წელი ფეხბურთელისთვის დიდ ასაკად არ ითვლება. ამის ნათელი მაგალითი ჩემი თანაგუნდელი პაოლო მალდინია. არ გამოვრიცხავ, რომ ფეხბურთი მეც კიდევ დიდხანს ვითამაშო. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი მაქვს და მთავარია, ჯანმრთელობამ შემიწყოს ხელი.

**— მატჩებსა და ვარჯიშებს შორის არსებულ თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— მეგობრებთან ერთად. მილანში მარტო ვცხოვრობ, რაც ხშირ შემთხვევაში მოსაწყენია.

**— მილანში საკუთარი სახლი გაქვთ?**

— ამჟამად კლუბის მიერ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. თუმცა, საკუთარ სახლში მალე გადავალ, რემონტსა და სახლის კეთილმოწყობას უკვე ვამთავრებ.

**— ცნობილია, რომ ავტომობილების დიდი მოყვარული ხართ. თქვენი ავტოპარკი ადრინდელივით შთამბეჭდავია?**

— მას რეგულარულად ვანახლებ. ძველ ავტომანქანებს ვყიდი და ახლებს ვყიდულობ. ზოგჯერ ავტომანქანებს მჩუქნიან კიდეც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ერთმა იტალიელმა მეგობარმა საუცხოო „ფერარი“ მაჩუქა. გარდა ამისა, ჩემს ავტოპარკში ერთი სიახლეც არის — მოტოციკლეტი. ის საცობების დროს ძალიან მოსახერხებელია.

**— შეიძლება ითქვას, რომ მილანი უკვე თქვენი ქალაქია?**

— დიდი ხანია, ხალხი ქუჩაში მცნობს. მესალმება, მესაუბრება და მამხნევებს... იტალიაში ფეხბურთი ყველაფერზე მაღლა დგას, პოლიტიკაზეც კი.

**— „მილანის“ პრინციპული მოწინააღმდეგის, „ინტერის“ გულშემატკივრებთან უსიამოვნება არ მოგსვლიათ?**

— არასოდეს. ძალიან ექსპანსიური გულშემატკივრები ერთმანეთს კი მტრობენ, მაგრამ არასოდეს გამიგია, ისინი თავს ფეხბურთელებს დასხმოდნენ.

**— ფეხბურთელებს ხმაურიან კამპანიაში დროსტარება ხშირად უყვართ. ამ მხრივ „მილანში“ როგორი ვითარებაა?**

— რას ამბობთ?! ამისთვის დრო სად უნდა იპოვო?! ჩვენ ძალიან შემჭიდროვებული გრაფიკი გვაქვს. მართალია, გამონაკლისებიც არის, მაგრამ ეს მხოლოდ მნიშვნელოვანი გამარჯვებების შემდეგ ხდება.

**— კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელების მხრიდან რეჟიმის დაცვას თვალს ადევნებს?**

— არა. თითოეული ფეხბურთელი საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი, რადგან „მილანში“ პროფესიონალები თამაშობენ და არა მოყვარულები. თუ გართობა გინდა, გაერთე, მაგრამ ეს მოთამაშის სპორტულ ფორმაზე არ უნდა აისახოს.

**— თქვენი ყოფილი გუნდის, კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ იური სიომინს რომელი ქართველი ფეხბურთელის მიწვევას ურჩევდით?**

— რჩევის მიცემა არ შემიძლია, რადგან თითოეული მწვრთნელი ფეხბურთელებს საკუთარი შეხედულებით ირჩევს. საერთოდ, საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა. მაგალითად, ლევან ყენია, რომელიც ამჟამად გელზენკირხენის „შალკეშია“. ან კიდევ ლევან მჭედლიძე „ემპოლიდან“. ისინი ჯერ 20 წლისაც არ არიან, მაგრამ დიდ იმედს იძლევიან. სხვათა შორის, ორივე მათგანი გასული წლის 100 ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის სიაში მოხვდნენ, რომელიც ესპანელმა სპეციალისტებმა შეადგინეს.

**— როგორც ცნობილია, კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკოსობას აპირებთ...**

— ამაზე მართლაც ვფიქრობ. თუმცა, დარწმუნებით ვერ გეტყვით, რომ პოლიტიკა ჩემი მოწოდებაა.

**— კარგი ფეხბურთელის მსგავსად, კარგ პოლიტიკოსსაც სათანადო ცოდნა სჭირდება...**

— ამჟამად, ასეთი ცოდნა არ მაქვს, მაგრამ სწავლის სურვილი გამაჩნია. თან საბოლოოდ არც გადამიწყვეტია პოლიტიკაში მისვლა. უბრალოდ, ასეთი აზრი გამოვთქვი, მაგრამ უახლოეს მომავალში, რაიმე კონკრეტულზე საუბარი ნაადრევია.

**— ადრე თუ გვიან მოედანს დაემშვიდობებით. თუ გიფიქრიათ, კარიერის დასრულების შემდეგ რას გააკეთებთ?**

— უნდა ვისწავლო, რადგან მსურს კარგი ეკონომიკური განათლება მივიღო.

**— გამოდის, რომ თქვენთვის მწვრთნელობა, ან კლუბში ადმინისტრაციული სამსახური მიუღებელია?**

— აბსოლუტურად.

**— „მილანიდან“ თუ გექნებათ წინადადება?**

— ძალიან გამიხარდება, მაგრამ არ დავთანხმდები. მსურს, რაღაც ახლით და საინტერესოთი დავკავდე.

**— მაინცდამაინც ეკონომიკური განათლება რატომ გსურთ?**

— მსურს, ბიზნესით სერიოზულად დავკავდე. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები, უკვე გადავდგი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია...

# მჟავანაძის ყოფილი და ციმაკურიძის დაბრუნება

**გეხსომებათ,** კახა მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცმა“ გასულ სეზონში ოვიდიოპოლის „დნესტრში“ გაანათხოვრა, ახლა კი ქართველი მცველი ისევ „მეზღვაურებთან“ ერთად აგრძელებს მზადებას.

მჟავანაძის ამჟამინდელი და ყოფილი გუნდები ამხანაგურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს — მატჩი 2:2 დასრულდა.

ჩვენებურმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

ასევე ამხანაგურ მატჩში, ოლონდ მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში ლუგანსკის „ზარიას“ ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე, რომელმაც წინა სამი მატჩი გაურკვეველ მიზეზთა გამო გამოტოვა.

უკრაინის პირველლიგელ „იგროსერვისთან“ მატჩში ლუგანსკელებმა 1:0 იმარჯვეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლომიძე და სამი ქართველი

**მოლდოვის** ჩემპიონატში პირველი მარცხი იგემა ლევან კორღალიძის, ჯაბა დვალისა და სერგი ორბელაძის კიშინიოვის „დაჩიამ“.

ქართველთა გუნდი 2:1 დაამარცხა მამუკა ლომიძის „ზიმბრუმ“, რომელიც მეორე საფეხურზეა და ტიტულისთვის აცხადებს პრეტენზიებს.

ოთხივე ქართველმა სრულად ითამაშა, თუმცა დიდად თავი ვერავინ გამოიჩინა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტატანას და განუს ტესტები

**ჩეხეთში,** დიმიტრი ტატანაშვილისა და გიორგი განუგრავას გუნდებს ტესტ-მატჩები ჰქონდათ და ქართველმა ფეხბურთელებმაც ითამაშეს.

„ტატანა“ „პლზენის“ შემადგენლობაში მეორე ტაიმში გამოჩნდა, მისმა გუნდმა კი 0:1 წააგო რუმინულ „ტიმიშოარასთან“.

განუგრავამ კი ბოლო 19 წუთი ითამაშა „ბოლესლავ“ — „ბოჰემიანსის“ მატჩში, რომელიც 0:0 დასრულდა.

ამ ორი ქართველიდან, თავისი გუნდის ძირითადში მოხვედრის უკეთესი შანსი ტატანაშვილს უფრო აქვს, რადგან „პლზენის“ თავდასხმის ხაზში მაინცდამაინც დიდი კონკურენცია არ არის, განუგრავას პოზიციაზე კი „მლადა ბოლესლავის“ საუკეთესო ფეხბურთელი ტომაშ რაინოჩი თამაშობს.

**ილია ნანობაშვილი**

# იაშვილის წყვილი



**ალექსანდრე იაშვილი** ორი გოლით დაეხმარა „კარლსრუეს“ ქვედალიგელ „ბიუხენბორნის“ განადგურებაში.

14:0 — ასეთია ამხანაგური მატჩის შედეგი.

იაშვილი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. დუბლის გარდა, იაშვილმა საგოლე პასიც გააზერხა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხიზანეიშვილის გოლიანი დებიუტი

**პირველი** მატჩი გამართა „აუგსბურგის“ შემადგენლობაში ოთარ ხიზანეიშვილმა და დებიუტი გოლიანი გამოდგა.

„აუგსბურგი“ ახალი სეზონისთვის ემზადება და ამხანაგურ მატჩში ობერლიგელი „აინდლინგი“ 4:1 დაამარცხა.

ჩვენებური მწვრთნელმა მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა და მანაც „აუგსბურგი“ 70-ე წუთზე ორი ბურთით დააწინაურა — 3:1 გახადა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რუსული ვერაფერტური ქართველებისთვის

**რუსული** პრემიერლიგის მეცამეტე ტურმა ქართველების ყოჩაღობის გარეშე ჩაიარა. ლიდერი ყაზანის „რუბინი“ დღეს თამაშობს, გუშინ-გუშინწინ კი...

მოსკოვურ დერბიში „ლოკომოტივმა“ 2:4 წააგო „დინამოსთან“. მე-60 წუთამდე ანგარიში 1:1 იყო და ცხრაწუთიან მონაკვეთში რკინიგზელებმა სამი ბურთი მიიღეს.

მალხაზ ასათიანმა შეუცვლელად ითამაშა და ვერცერთ გაშვებულზე ვერ იტყვი, კონკრეტულად მისი ბრალი იყოო.

„ჩემი აზრით, თანაბარი თამაში იყო. 1:1-ზე დროებით მოშვების უფლება მივეცით საკუთარ თავს, შეცდომები დავუშვით და დავისაჯეც კიდეც. მომენტები ჩვენც გვქონდა, მაგრამ ესაა ფეხბურთი: ვერ გაიტანენ? გაგიტანენ!“ — ესეც ასათიანის მატჩისშემდგომი კომენტარი.

ნალჩიკის „სპარტაკმა“ მოგებათა სერია ტომსკში შეწყვიტა — ბოლო წუთზე გაუშვა გოლი და 0:1 წააგო. არადა, მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობას ყაბარდოელები ფლობდნენ. ალეკო ამისულაშვილმა სრულად ითამაშა, დავით სირაძე კი 84-ე წუთზე შეცვალეს. სირაძემ გაფრთხილებაც მიიღო პირველ ტაიმში...

არ გამოჩენილა გოგიტა გოგუა, რომელიც წინა დღეებში შეუძლოდ გახლდათ, გუშინ კი ნალჩიკში გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელთან ივარჯიშა.

ლევან გვაზავას „ლუჩი“ 0:2 დამარცხდა „ამკართან“, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად, მეორე ადგილზეა. ლევანმა ძირითადში ითამაშა და მეორე ტაიმის შუაში შეცვალეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ადამია ქმნის, აფუჭებს, იგებს



**გიორგი ადამიამ** და ბაქოს „ნეფთჩიმ“ ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპი გაიარეს: ბელგიურ „ბერსხოტთან“ გასვლითი 1:1-ის შემდეგ, ანატოლი დემიანენკოს გუნდმა შინ 1:0 იმარჯვა.

შეგახსენებთ, სტუმრად სწორედ ადამიამ შეაგდო ბურთი.

ადამიას ამჯერად არ გაუტანია, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

„აზერსპორტი“ წერს, დემიანენკომ რაღაც უნდა იღონოს გიორგისთან დაკავშირებით, რადგან ამდენი მომენტის შექმნა და გაფუჭება ნამეტანიაო.

**ილია ნანოგაშვილი**

# ჭელიძე 2:1 ჯელაძეები

**ყაზახეთის** ჩემპიონატში „ქართული დერბი“ შედგა — ლაშა ჭელიძის ყიზილორდის „ქაისარმა“ გიზო და ზვიად ჯელაძეების უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკს“ უმასპინძლა და 2:1 სძლია.

„ქაისარის“ შემადგენლობაში ჭელიძემ 90 წუთი იბურთავა, ისევე, როგორც „ვოსტოკის“ კაპიტანმა ზვიად ჯელაძემ, მისი ძმა გიზო კი 55-ე წუთზე შეცვალეს.

„ქაისარი“ მეოთხე ადგილზეა, „ვოსტოკი“ კი — მეთერთმეტეზე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რა დრო იყო...



**ქართული** ფეხბურთის დამოუკიდებლობის პერიოდში გიორგი ქინქლაძის ნიჭში ეჭვი არავის შეჰპარვია. ერთია, ამ ფეხბურთელის კარიერა ისე არ წარიმართა, როგორც ქართველ გულშემატკივარს უნდოდა.

ქინქლაძის კარიერის ყველაზე ნათელი წერტილი ინგლისური „მანჩესტერ სიტია“ და იქ იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა, რომ იქაურ გულშემატკივარს თუ სპეციალისტებს თავი დღემდე დაამახსოვრა.

ინგლისურმა ჟურნალმა FOUR FOUR TWO-მ სწორედ სპეციალისტების და გულშემატკივრების აზრის გათვალისწინებით დაასახელა ბრიტანულ ფეხბურთში მოთამაშე ყველა დროის საუკეთესო ასეული და ქინქლაძე 38-ე ადგილზე გავიდა.

საუკეთესო ორმოცდაათეულის სიას აქვე შემოგთავაზებთ და გეტყვით, რომ ქინქლაძემ ისეთ ფეხბურთელებს აჯობა, როგორიც მარკ ოვერმარსი, ედვინ ვან დერ სარი, ალექსეი მიხაილიჩენკო, ემანუელ პეტი, დიმიტარ ბერბატოვი, ეიდურ გუდიონსენი, მარკ ვიდუკა, რობერტო დი მატეო, კარლო კუდიჩინი, ჰენინგ ბერგი, გუსტავო პოიეტი, ჰარი კიუელი, ფრენკ ლებეფი, კლაუდიო კანიჯა, ტორე ანდრე ფლო, პიერ ვან ჰოიდონკი, ნვანკვო კანუ და სხვები არიან.

ქინქლაძემ ბრიტანეთში შვიდი სეზონი გაატარა. 1995-98 წლებში „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა და 106 მატჩში 20 გოლი გაიტანა, 1999-2003 წლებში კი — „დერბი ქაუნთიში“, სადაც 93 მატჩში 7 გოლის გატანა მოახერხა.

ქინქლაძის საუკეთესო პერიოდად „სიტიში“ გატარებული პრემიერლიგური დრო ითვლება, სადაც ჩვენებურს GIORGI BEST და KINGKLADZE უწოდეს.

ინგლისური კლუბების გარდა ქინქლაძეს უცხოეთში გერმანულ „საარბრიუკენში“ (1993, 11 მატჩი, 0 გოლი), ჰოლანდიურ „აიაქსში“ (1998-99, 12 მატჩი, 0 გოლი), კვიპროსულ „ანართოსისში“ (2004-05, 22 მატჩი, 2 გოლი) და რუსულ „რუბინში“ (2005-06, 13 მატჩი, 2 გოლი) უთამაშია. საქართველოში კი კარიერა თბილისის „მრეტებში“ დაიწყო (1989-91, 50 მატჩი, 9 გოლი) და „დინამოში“ გააგრძელა (1991-95, 65 მატჩი, 41 გოლი).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

1. ერიკ კანტონა (საფრანგეთი) — „ლიდსი“, „მანჩესტერი“
2. დენის ბერხკამპი (ჰოლანდია) — „არსენალი“
3. ტიერი ანრი (საფრანგეთი) — „არსენალი“
4. ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი) — „სელტიკი“, „მანჩესტერი“
5. ჯანფრანკო ძოლა (იტალია) — „ჩელსი“
6. პეტერ შმაიხელი (დანია) — „მანჩესტერი“, „ასტონ ვილა“, „სიტი“
7. ოსვალდო არდილესი (არგენტინა) — „ტოტენჰემი“, „ბლექბერნი“, „ქუინზ პარკი“, „სუინდონი“
8. კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია) — „მანჩესტერი“
9. იურგენ კლინსმანი (გერმანია) — „ტოტენჰემი“
10. პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი) — „არსენალი“
11. დუაიტ იორკი (ტრინიდადი და ტობაგო) — „ასტონ ვილა“, „მანჩესტერი“, „ბლექბერნი“, „ბირმინგემი“, „სანდერლენდი“
12. რუუდ გულიტი (ჰოლანდია) — „ჩელსი“
13. იაპ სტამი (ჰოლანდია) — „მანჩესტერი“
14. ედი ფირმანი (იტალია) — „ჩარლტონი“, „საუთენდი“
15. პაოლო დი კანიო (იტალია) — „სელტიკი“, „შეფილდი“, „ვესტ ჰემი“, „ჩარლტონი“
16. ხორხე რობრედო (ჩილე) — „ბარნსლი“, „ნიუკასლი“
17. ბრიუს გრობელაარი (ზიმბაბვე) — „ლივერპული“, „საუთჰემტონი“, „პლიმუთი“, „ოლდემი“, „ბერი“, „ლინკოლნი“
18. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია) — „მანჩესტერ იუნაიტედი“
19. რობერ პირესი (საფრანგეთი) — „არსენალი“
20. ბრაიან ლაუდრუპი (დანია) — „რეინჯერსი“, „ჩელსი“
21. დიდიე დროგბა (კოტ დივუარი) — „ჩელსი“
22. კლოდ მაკელელე (საფრანგეთი) — „ჩელსი“
23. დავიდ ჟინოლა (საფრანგეთი) — „ნიუკასლი“, „ტოტენჰემი“, „ასტონ ვილა“, „ევერტონი“
24. ანდრეი კანჩელსკისი (რუსეთი) — „მანჩესტერი“, „ევერტონი“, „რეინჯერსი“, „საუთჰემპტონი“
25. მარსელ დესაი (საფრანგეთი) — „ჩელსი“
26. ბერნდ ტრაუტმანი (გერმანია) — „სიტი“
27. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჰოლანდია) — „ლიდსი“, „ჩელსი“, „მიდლსბრო“, „ჩარლტონი“, „კარდიფი“
28. არნოლდ მიურენი (ჰოლანდია) — „იფსვიჩი“, „მანჩესტერი“
29. ფრანკ ტისენი (ჰოლანდია) — „იფსვიჩი“, „ნოტინგემი“
30. იან მიალბი (დანია) — „ლივერპული“, „სუონსი“
31. ჟუნინიო (ბრაზილია) — „მიდლსბრო“, „სელტიკი“
32. ჯანლუკა ვიალი (იტალია) — „ჩელსი“
33. ფრედი ლუნგბერგი (შვედეთი) — „არსენალი“, „ვესტ ჰემი“
34. ოლე გუნარ სოლსკიაერი (ნორვეგია) — „მანჩესტერი“
35. მიკაელ ესიენი (განა) — „ჩელსი“
36. კლაიდ ბესტი (ბერმუდი) — „ვესტ ჰემი“
37. ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი) — „არსენალი“, „ლივერპული“, „სიტი“, „ბოლტონი“, „ჩელსი“
38. **გიორგი ქინქლაძე** (საქართველო) — „სიტი“, „დერბი ქაუნთი“
39. ბრედ ფრიდელი (აშშ) — „ლივერპული“, „ბლექბერნი“
40. პეტრ ჩეხი (ჩეხეთი) — „ჩელსი“
41. ლუბომირ მორავჩიკი (სლოვაკეთი) — „სელტიკი“
42. ანდერს ლიმპარი (შვედეთი) — „არსენალი“, „ევერტონი“, „ბირმინგემი“
43. ჯეი-ჯეი ოკოჩა (ნიგერია) — „ბოლტონი“, „ჰალი“
44. როი ვეგერლე (აშშ) — „ჩელსი“, „ლუტონი“, „ქუინზ პარკი“, „ბლექბერნი“, „ქოვენთრი“
45. სემი ჰიიპია (ფინეთი) — „ლივერპული“
46. სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი) — „არსენალი“
47. იური ჯორკაეფი (საფრანგეთი) — „ბოლტონი“, „ბლექბერნი“
48. კაზიმეჟ დეინა (პოლონეთი) — „სიტი“
49. რასელ ლატაპი (ტრინიდადი და ტობაგო) — „ჰიბერნიანი“, „რეინჯერსი“, „ფოლკირკი“
50. არტურ ვარტონი (განა) — „როტერჰემი“, „შეფილდი“, „სტოკპორტი“

# ტრავმები ძველი და ტრავმები ახალი

## ბექა წივწივაძე ვარიანტებს ევროპის მერე დაითვლის



**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებს ტანმაღალი კალათბურთელები არ აკლია, მაგრამ უკანახაზელებში მოიკოჭლებს. რა თქმა უნდა, ჩვენს 20-წლამდელებსაც ჰყავთ გამთამაშებლები, მაგრამ არჩევანი ისეთი არაა, როგორც მეფარეებში. მიუხედავად ამისა, დავით უსტიაშვილის გუნდი მაინც იმედიანად უმზერს კარსმომდგარ ევროჩემპიონატს და A დივიზიონში დარჩენას ეშურება. საინტეერსოა, რას ფიქრობს ახალგაზრდული ნაკრების უკანახაზელი ბექა წივწივაძე, ვისთან ინტერვიც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა**

— თავდაპირველად, წინა სეზონი გაიხსენე...

— მთლიანობაში წარმატებული სეზონი ნამდვილად არ ყოფილა. უამრავი ტრავმა, ამის შემდეგ ფორმის ფორსირებული აღდგენა და არცთუ კარგი სეზონი მთლიანად „ვითასთვის“, რადგან ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ შემადგენლობითა და მწვრთნელებით გაცილებით მეტისთვის უნდა მიგვეღწია. აპენდიციტის ოპერაციის გამო დაახლოებით ერთი თვე ველარ ვვარჯიშობდი და საბოლოოდ, სეზონი სანახევროდ და ალბათ, მეტითაც ჩამივარდა. „ვითაში“ ძალიან ბევრ ძლიერ მოთამაშეს ჰქონდა ტრავმები. განსაკუთრებით მტკივნეული იყო მიხეილ ბერიშვილის, ბუბა ბერიშვილის, დავით ბერძენიშვილის, გიორგი მარკოიშვილის და ჩემი ტრავმები. გუნდი ვერ შეიკარა, ვერ აჩვენა თავისი თამაში, რადგან ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ჩავატარეთ ძალიან ბევრი შეხვედრა. რომ არა ტრავმები, გაცილებით მეტს მივაღწევდით.

— აპირებ თუ არა „ვითამაში“ დარჩენას?

— ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მაქვს სათამაშო, ამის მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— რაიმე კონკრეტული შეთავაზება ხომ არ გაქვს?

— რაღაც ვარიანტები კი არის, თუმცა როგორც გითხარით, ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ევროპის ჩემპიონატსა და საქართველოს ნაკრებზე ვფიქრობ.

— კონკრეტულად რომელი ქვეყნებიდან გაქვს შემოთავაზება?

— საქართველოს თუ არ ჩავთვლით, არის ლიტვური და ლატვიური გუნდების ვარიანტები.

— ბექა, სრულ მზადყოფნაში ხარ, აღიდგინე თუ არა ოპტიმალური კონდიციები?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და იმედი მაქვს, რომ მალე ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში ვიქნები. მთელი ნაკრები ვემზადებით ავთო ბერიძესთან, რომელიც საქართველოში გამორჩეული ფიზმომზადების სპეციალისტია. ვიღლებით, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ ასეა საჭირო.

— გვაინტერესებს შენი აზრი გასულ სუპერლიგაზე.

— ძალიან კარგი ჩემპიონატი იყო. ექვსივე გუნდს შეეძლო ერთმანეთის დამარცხება, რაც არაერთხელ მოხდა კიდეც. სანამ „მაკაბიში“ გიორგი შერმადინი იყო, ამ გუნდს ნებისმიერის გამწარება შეეძლო. საბოლოო ჯამში, ძალიან კარგი პირველობა იყო. ერთადერთი, რამაც ოდნავ გააუფერულა სუპერლიგის სეზონი, მაყურებელთა ნაკლებობა გახლდათ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება უკვე მომავალ ჩემპიონატში. მთლიანობაში, სუპერლიგა წინა სეზონზე დინამიური და კარგი საყურებელი გამოვიდა.

— შენი აზრით, ახალგაზრდულ ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი თუ ჰყავს?

— არა, გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს. ბევრი გამოცდილი მოთამაშეა ისევ და ისევ ამ ასაკიდან გამომდინარე და ყველანი ვცდილობთ, ჩვენი ძლიერი მხარეები, გამოცდილება ნაკრების საბოლოო წარმატებას მოვახმაროთ. ვნახოთ, ვის როგორ წაუვა თამაში და რა შედეგს მოიტანს ჩვენი მონდომება და მწვრთნელების გამოცდილება და მათი მუშაობა. იმედი მაქვს, რომ უმაღლეს დივიზიონში ადგილს შევინარჩუნებთ. რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ქომაგების იმედები გავამართლოთ.

— შენ ძირითადად, პირველ ნომერზე დგახარ, არა?

— კი, გამთამაშებელი ვარ, თუმცა მეორე ნომრადაც შემიძლია და მიყვარს თამაში. პირველი ნომერი გუნდის დირიჟორია, თამაშის დალაგება ევალება. ხოლო მეორე ნომერი უფრო მეტს უტევს, აქტიურია, ქულებიც მეტად უნდა დააგროვოს, სროლაც სტაბილური ჰქონდეს. ვეცდები, ორივე ამპლუაში ნაკრებს სარგებელი მოვუტანო.

— უსტიაშვილი ვარჯიშებზე ძირითად ხუთეულში შენ და გაფრინდაშვილს გაყენებთ?

— ხან ერთად ვარ, ხან ერთმანეთის წინააღმდეგ გვიწევს გამოსვლა. საბოლოოდ, ყველაფერი მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ რომელ პოზიციაზე და რამდენი ხნით უნდა დადგეს. მთავარია, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას შევძლოთ მაქსიმალური კონცენტრირების მოხდენა, ძალების რაციონალურად გადანაწილება და მჯერა, სასურველ შედეგს მივაღწევთ. ნაკრებში ბევრი ტრავმირებულია. პირადად მე სამჯერ ვიტკინე ფეხი. რიჩარდ მათიაშვილსაც ქუსლის მიკროტრავმა აქვს, გიორგი შერმადინს მუცლის არეში მწვავე ტკივილები აწუხებს, ჯგერენაიამ კუნთი დაიჭიმა. გადაღლილია, ამერიკიდან ახლახანს ჩამოსული ფაცაციაც. თუმცა, როგორც გითხარით, ერთი ოჯახივით ვართ და ვეცდებით, უმაღლეს დივიზიონში ადგილი შევინარჩუნოთ.

# მეჯიტი დევისის წილ

## ბრენტ ბერი მამისა და ძმის კვალზე



კორი მეჯიტი

**როგორც** ჩანს, ძვირად დაუჯდა „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებლის, ბაირონ დევისის „გოლდენ სტეიტიდან“ გადაბირება. კალიფორნიელებს გასულ ოთხშაბათს ტრავმებით გატანჯული, თუმც ბოლო ხანს მოლონიერებული სუპერვარსკვლავი ელტონ ბრენდი „ფილადელფიამ“ წაჰგვარა, ხოლო ამ უქმეებზე „კლიპერსმა“ მეორე ვარსკვლავი კორი მეჯიტიც დაკარგა.

და ვინ ართვა ლოსანჯელესელებს გასულ სეზონში მათთვის საუკეთესო მოთამაშე? „გოლდენ სტეიტმა“, საიდანაც, თავშიც წაიკითხავდით, „კლიპერსმა“ ბაირონ დევისი წამოიყვანა. ამ ტრანსფერით „ვორიორზმა“ ერთგვარი შური იძია თანაშტატელ „კლიპერსზე“ — რაკი გუნდის ლიდერი წაგვართვით, ჩვენ თქვენს საუკეთესო მოთამაშეს წავიყვანთო...

კორი მეჯიტი უნიკალური მოთამაშეა. ის ოდნავაა ორ მეტს აცილებული, თუმცა ისე წარმატებით თამაშობს ფარქვეშ, ბევრ თავდამსხმელსა თუ ცენტრს შეშურდება. ბრენდის ტრავმიანობისას, რომელიც ლამის მთელი გასული სეზონი გაგრძელდა, მეჯიტი შეიქნა კლიპერსელთა წინამძღოლად და იშვიათად იყო თამაშები, რომელიმე მისიანს კორიზე მეტი ქულა გამოეტანოს მოედნიდან.

მეჯიტიმ გასულ სეზონში 70 მატჩი ითამაშა და... 22.1 ქულა, 5.6 მოხსნა, 2.7 პასი — ყველა ეს მაჩვენებელი ამ 28 წლის კალათბურთელის კარიერაში საუკეთესოა.

მეჯიტი, სავარაუდოდ, კარგად მოერგება დონ ნელსონის სწრაფ, მუდამ იერიშებზე მომართულ გუნდს, რომელიც ახლა ყველაფერს აკეთებს, რათა გასულ სეზონში თავგამოჩენილი ყოჩაღი ბიჭები — მონტა ელისი და ანდრეს ბიედრინსი შეინარჩუნოს. „გოლდენ სტეიტის“ აღმასრულებელი დირექტორი კრის მულინი ამბობს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს მოთამაშეები გუნდში უნდა დავაბათ, თანაც ხანგრძლივი კონტრაქტებითო. ძირითადი ხუთეულის ორად ორი წევრი ჰყავთ გოლდენსტეიტელებს ახლა დაბევებული — სტეფან ჯეკსონი და ალ ჰარინგტონი — თუმც, უეჭველად, კორი მეჯიტიც. ხუთეულის მომავალი წევრია. სხვათა შორის, მეჯიტის კიდევ 5 გუნდი ეპატიჟებოდა, მათ შორის, ჩემპიონი „ბოსტონი“ და ექსჩემპიონი „სან ანტონიო“, მაგრამ კორიმ „გოლდენ სტეიტი“ ამჯობინა.

ამის გარდა, გასულ უქმეებზე რამდენიმე ტრანსფერიც გაიჩარხა, რომელთაგან ყურადღებას 36 წლის სნაიპერ ბრენტ ბერის „ჰიუსტონში“ გადასვლა იმსახურებს. ამ ტრანსფერით „როკეტსში“ ბერების ტრიო შეიკრა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჰიუსტონში“ ერთი ოჯახის მესამე წარმომადგენელი ითამაშებს. 1978-80 წლებში ტეხასურ გუნდში ხელი გაუქნევია ბრენტის მამა რიკს, ხოლო 2004-06 წლებში ჰიუსტონელთა რიგებში მისი ძმა ჯონიც ბურთაობდა.

ბრენტ ბერიმ გასული სეზონი „სან ანტონიოში“ გაატარა და 31 მატჩში საშუალოდ 43-პროცენტიანი შედეგიანობით ესროდა სამქულიანებს (112-დან 48). „ჰიუსტონი“ მისთვის მეექვსე გუნდია და აქამდე კი „კლიპერსში“, „მაიამიში“, „ჩიკაგოსა“ და „სიეტლშიც“ უთამაშია. მოქმედ კალათბურთელთა შორის ის მერვე ადგილზეა პროცენტულად გამოყენებული სამქულიანების მიხედვით (40,7), ხოლო მეექვსე — კარიერაში ჩაგდებული სამიანების გათვალისწინებით (1 346).

ვერ გეტყვით, ბერის წასვლის გამო, თუ სხვა მიზეზი იყო, სანანტონიოელებმა მყისვე შეიმატეს გასულ სეზონში „ვაშინგტონში“ ნაბურთავები, ბრენტივით უკანახაზელი როჯერ მეისონი.

როჯერი არ გახლავთ სახელიანი მოთამაშე, უბრალოდ, გასულ სეზონში გაიფაფხურა და ამის მიზეზი ის სათამაშო დროა, რომელიც მას ვაშინგტონელთა ლიდერ ჯილბერტ არენასის ხანგრძლივი ტრავმიანობის გამო ებოძა.

მეისონი 2002 წლის დრაფტზე 31-ე ნომრად აიყვანა „ჩიკაგომ“, თუმცა ამ გუნდმა მასში პერსპექტივა ვერ დაინახა და „ტორონტო რეპტორზს“ გადაულოცა. კანადური გუნდიდან როჯერი მოხვდა „ვაშინგტონში“, სადაც გასულ სეზონში 80 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 9 ქულაზე ოდნავ მეტს აგროვებდა.

„კარგა ხანია, ის ჩვენს მწვრთნელებს მიზანში ჰყავდათ ამოღებული — ამბობს მეისონზე „სან ანტონიოს“ გენერალური მენეჯერი არსი ბაფორდი — ჩვენ შარშანაც ვცდილობდით მის შემატებას, მაგრამ მან „ვაშინგტონში“ დარჩენა გადაწყვიტა და იქაური თამაშით დაგვარწმუნა, რომ მეტს იმსახურებს. ჩვენ ვაძლევთ მას ამ შანსს, რომ უფრო მეტი გააკეთოს“.

კლუბი არ ამხელს, თუმც მეისონის მენეჯერმა „ასოსიეიშედ პრესს“ განუცხადა, რომ მისი კლიენტი ორ სეზონში 8 მილიონამდე დოლარს მიიღებს.

თავის მხრივ, მეისონიც გახარებულია, ამბიციურ გუნდში რომ მოხვდა: „გადახედეთ ისტორიას, „სან ანტონიო“ მუდამ საჩემპიონო რბოლაშია ჩაბმული და ამ ბოლო წლებში ხშირადაც აღწევდა მიზანს. ყოველი მეორე სეზონი „სფურზისაა“ და მომავალ წელს ჩვენი ჩემპიონობის ჯერია“.

როჯერი აქ იმას გულისხმობდა, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, ყოველი სეზონის გამოტოვებით სანანტონიელები ჩემპიონობას ზეიმობდნენ: 2003-ში, 2005-ში, 2007-ში და თუ ეს საჩემპიონო ჯაჭვი შესაბამისი პროგრესიით გაგრძელდება-

**ირაკლი პერტაია**

კვარციტი QUARTZITE
ლიბო
ქართველი ქონდები







ქართველებმა გერმანიც დაამარცხეს, რუსეთიც და მერაბ კვირიკაშვილის ჯადო თამაშით მესამე ადგილი დაიკავეს




12 ივლისი

საქართველო 5:0 რუსეთი
*1ლ: კვირიკაშვილი*

იტალია 17:10 ბელგია

ესპანეთი 26:22 გერმანია

ირლანდია 26:7 უკრაინა

პორტუგალია 39:0 რუმინეთი

უელსი 3&7 პოლონეთი

გერმანია 0:26 საქართველო
*4ლ: სამხარაძე, კვირიკაშვილი, ჩხაიძე, თოდუა; 3გ: კვირიკაშვილი*

უკრაინა 22:12 ბელგია

რუსეთი 19:19 რუმინეთი

იტალია 40:0 პოლონეთი

პორტუგალია 25:5 ესპანეთი

უელსი 26:14 ირლანდია

საქართველო 12:0 რუმინეთი
*2ლ: კვირიკაშვილი; 1გ: კვირიკაშვილი*

პოლონეთი 21:19 ბელგია

პორტუგალია 14:12 გერმანია

უელსი 21:17 უკრაინა

ესპანეთი 7:29 რუსეთი

ირლანდია 17:12 იტალია

გერმანია 17:12 რუმინეთი

უკრაინა 21:14 პოლონეთი

საქართველო 28:5 ესპანეთი
*4ლ: თოდუა, ჩხაიძე, ს. მაისურაძე (2); 4გ: კვირიკაშვილი*

ირლანდია 31:0 ბელგია

პორტუგალია 45:5 რუსეთი

უელსი 33:12 იტალია

13 ივლისი

ესპანეთი 14:0 რუმინეთი

ირლანდია 17:7 პოლონეთი

რუსეთი 21:24 გერმანია

იტალია 31:15 უკრაინა

საქართველო 10:26 პორტუგალია
*2ლ: კვირიკაშვილი, ნიჟარაძე*

უელსი 33:12 ბელგია

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 0 | 0 | +119 | 15 |
| საქართველო | 4 | 0 | 1 | +50 | 13 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 3 | -24 | 9 |
| გერმანია | 2 | 0 | 3 | -50 | 9 |
| რუსეთი | 1 | 1 | 3 | -26 | 8 |
| რუმინეთი | 0 | 1 | 4 | -69 | 6 |

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 5 | 0 | 0 | +87 | 15 |
| ირლანდია | 4 | 0 | 1 | +51 | 13 |
| იტალია | 3 | 0 | 2 | +39 | 11 |
| უკრაინა | 2 | 0 | 3 | -20 | 9 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 4 | -86 | 7 |
| ბელგია | 0 | 0 | 5 | -71 | 5 |

პლეი ოფი

მე-9-12 ადგილებისთვის

რუსეთი 27:0 ბელგია

რუმინეთი 21:7 პოლონეთი

მე-5-7 ადგილებისთვის

ესპანეთი 22:10 უკრაინა

გერმანია 19:21 იტალია

ნახევარფინალები

პორტუგალია 14:12 ირლანდია

საქართველო 14:19 უელსი
*2ლ: სუთიაშვილი, ხმალაძე; 2გ: კვირიკაშვილი*

მე-10 ადგილისთვის

ბელგია 0:26 პოლონეთი

მე-9 ადგილისთვის

რუსეთი 29:12 რუმინეთი

მე-7 ადგილისთვის

უკრაინა 14:35 გერმანია

მე-5 ადგილისთვის

ესპანეთი 17:24 იტალია

მე-3 ადგილისთვის

საქართველო 26:7 ირლანდია

ფინალი

პორტუგალია 26:12 უელსი



ჰანოვერის სტადიონი, რომელმაც ორ დღეში 25 ათას ქომაგს უმასპინძლა



# დღე პირველი, დღე საგზურის

## საქართველომ დუბაი ჰანოვერიდან დაინახა

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრებმა ალალად და ჯიგრით ირაგბა ევროპული სერიის ფინალურ ეტაპზე, მე-3 ადგილი დაიკავა და გაისად დუბაიში გასამართ მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

ვწერდით და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ ჰანოვერის 12-გუნდა შვიდკაცობა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ხომ იყო და იმავდროულად, ხუთი საუკეთესო ნაკრები საგაისო მსოფლიოს თასის საგზურს ილებდა.

ჩვენებმა ჰანოვერში მოხვედრა სულ ბოლოსლა შეძლეს, რაკი პოლონეთის და თბილისის შვიდკაცაზე დაკავებული მე-5 და მე-3 ადგილები არხეინობის გარანტიას ვერ იძლეოდნენ. ბედად, საქართველოს მდევრებს ვერ გადაასწრეს და ჩვენები ბოლო მე-12 ნომრად განითესნენ ტურნირზე, თუმც რეიტინგი და განთესვა შვიდკაცა რაგბიში რომ ზოგადი და ულოგიკო მცნებაა, ამ უქმეებზე ქართველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

12 გუნდი ორ ექვსგუნდა ჯგუფად დაიყო. კენჭისყრით ჩვენებს აშკარად გაუმართლათ, რაკი ბობოლები ირლანდია და უელსი მეორე ჯგუფში მოხვდნენ, ხოლო აქეთ ჯგუფში, დამთხვევაა და ექვსივე ერთათასელმა მოიყარა თავი.

თავიდან ქართველებმა რუსეთის ნაკრებს მერაბ კვირიკაშვილის ლელოთი მოუგეს. ჩვენებს გერმანიაში მცხოვრები 40 ქართველი ქომაგობდა, ისე კი ტურნირი 50-ათასიან „AWB არენაზე“ ჩატარდა და ორგანიზატორებმა 35-ათასი ბილეთი გაყიდეს. მოდით, ეს ამბავი უკომენტაროდ დავტოვოთ.

რუსებთან მოგებამ, ცხადია ჩვენებს დამატებითი მუხტი შემატა და კახა ალანიას გაწვრთნილმა შვიდეულმა აიშვა. მეორე მსხვერპლი მასპინძელი გერმანია შეიქნა. მასპინძლებს ქართველებმა ოთხი ლელო გაუტანეს, ორით ნაკლები აკმარეს რუმინელებს, თუმც გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. რუსეთს, გერმანიას და რუმინეთს ქართველებმა ჩაროზად ესპანეთი დააყოლეს, რომელსაც ოთხი ლელო მიართვეს და ჯგუფში მინიმუმ მე-2 ადგილი დაიბევეს. ეს კი ნიშნავდა, რომ ჩვენებმა საპლეიოფო და შესაბამისად, გაისად დუბაიში გასამართი მსოფლიოს თასის საგზურიც მოიპოვეს.

ჯგუფის ბოლო, ერთი შეხედვით არაფრის მომცემ მატჩში საქართველო პორტუგალიასთან დამარცხდა, რითიც ნახევარფინალში უელსს შეუწყვილდა, ვისთანაც თბილისში პირწმინდად წააგო. ჩვენებს პორტუგალიისთვის რომ მოეგოთ, ჯგუფში იპირველებდნენ და ნახევარფინალში ირლანდიას შეხვდებოდნენ, იმ ირლანდიას, ვისაც მოგვიანებით მე-3 ადგილისთვის მატჩში გადაუარეს და სინი მოიპოვეს.

იქამდე კი როგორც ვთქვით, ქართველები უელსელებს ერაგბნენ. თავიდან ბრიტანელები 12:0 დაწინაურდნენ. მაგრამ შალვა სუთიაშვილმა ერთი ლელო გაქვითა. უელსელების კიდევ ერთ ლელოს ჩვენებმა ლელოთივე უპასუხეს და მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე ანგარიში 14:19 გახდა მეტოქის სასარგებლოდ. როგორც ტურნირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, მატჩის არბიტრს ამ დროს საფინალოდ ჩაუსტვენია, არადა სათამაშო დრო კიდევ იყო. მსაჯს ტრიბუნებიდან ბევრი უსტვინეს და უკიჟინეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა — „დაგეგმილ“ ფინალში პორტუგალია და უელსი შეხვდნენ.

ფინალი პორტუგალიამ მოიგო, ჩვენებმა კი ირლანდიის დამარცხებით იქამდე განაღდებული მსოფლიოს თასის საგზური მესამე ადგილით „დაასველეს“.

აქვე ვთქვით, რომ ჰანოვერში საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო იყო ეროვნული გუნდის უნივერსალი უკანახაზელი მერაბ კვირიკაშვილი, რომელმაც 42 ქულა მოუნაგრა სამმოს.

ერთიც, საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს აქამდე ორ მსოფლიოს თასზე ურაგბია. 2001 წელს ჩვენებმა საპატიოზე მეტი, მე-10 ადგილი დაიკავეს, 2005 წელს კი შედეგი ერთი ადგილით გააუარესეს.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველო ჰანოვერში**

**შალვა სუთიაშვილი (ბობინი, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მასი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), მერაბ კვირიკაშვილი (პო, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე (ორივე ლელო), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ჯაბა ბრეგვაძე, სანდრო ნიჟარაძე (ორვე ყოჩები), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი)**

| საქართველოს თასი ნახევარფინალი |
|---|
| აია 0:27 ლოკომოტივი |
| ლოკომოტივი: 3ლ : ახვლედიანი, გუგავა (2); 3გ: კვინიხიძე; 1ს: კვინიხიძე; 1ა: გუგავა |
| ყოჩები — აკადემია გადაიდო |
| უნივერსიტეტი 12:17 არმაზი |
| მატჩი შეწყდა 50-ე წუთზე |

| საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა |
|---|
| დინამო 18:22 ლელო |
| დინამო: 2ლ: აზალაძე, აჯიაშვილი; 1გ: ღირსიაშვილი; 2ს: ღირსიაშვილი |
| ლელო: 1ლ: მანჯავიძე; 2გ: ყიასაშვილი; 5ს: ყიასაშვილი |

| პირველი ლიგა |
|---|
| ლოკომოტივი 2 0:38 ბათუმი |
| ხულიგანა 27:15 ლელო 2 |

**უმაღლესი ლიგა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 6 | 0 | 2 | 169:161 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 167:89 | 10 |
| ყოჩები | 4 | 0 | 2 | 126:86 | 8 |
| აია | 3 | 1 | 3 | 119:127 | 7 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 3 | 120:135 | 7 |
| აკადემია | 3 | 0 | 3 | 114:120 | 6 |
| დინამო | 1 | 0 | 6 | 128:162 | 2 |
| არმაზი | 1 | 0 | 6 | 113:176 | 2 |

**პირველი ლიგა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8 | 0 | 0 | 258:86 | 16 |
| რუსთავი | 7 | 0 | 1 | 244:95 | 14 |
| ხულიგანა | 5 | 0 | 3 | 159:134 | 10 |
| აია 2 | 4 | 0 | 4 | 112:140 | 8 |
| ლელო 2 | 4 | 0 | 4 | 245:192 | 8 |
| დევები | 2 | 0 | 6 | 153:185 | 4 |
| თიბისი | 1 | 0 | 7 | 118:236 | 2 |
| ლოკომოტივი 2 | 1 | 0 | 7 | 43:264 | 2 |

# პიშომ ნაკრები დახურა



**ბოლო** ათწლეულის მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ და არგენტინის ნაკრების კაპიტანმა აგუსტინ პიშომ გადაწყვიტა, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულოს.

„ამ კვირაში ჩემს მეუღლეს და ოჯახს ვესაუბრე. გარდა იმისა, რომ ბოლო წლებში გაუთავებლად მიწევდა რამდენიმესაათიანი ფრენა, ვერც ფიზიკურად ვარ ბოლომდე მზად. ოჯახთან ერთად გადავწყვიტე, რომ სანაკრებო კარიერა დავასრულო და მთლიანად კლუბში დავკავდე. ამის შესახებ არგენტინის ნაკრების მწვრთნელ სანტიაგო პელანსაც ვესაუბრე. მან გამიგო და წარმატებები მისურვა" — განაცხადა 33 წლის პიშომ, ვინც არგენტინის ნაკრებში 72 მატჩი ჩაატარა და წინა მსოფლიოს თასზე მე-3 ადგილი დააკავებინა.

სანტიაგო პელანი: „პიშოს პირისპირ ვესაუბრე. მან მითხრა, რომ ძველებურად ჯანი აღარ მისდევს და ასი პროცენტით მზად არ არის. ასეთ ვითარებაში კი ჯობს, ნაკრებში იმან ითამაშოს, ვინც ბოლომდე დაიხარჯება. პიშო სამაგალითო ადამიანია, მას არასდროს დაუწუწუნია და რაც შეეძლო, იმაზე მეტს აკეთებდა ნაკრებისთვის. რადგან თქვა, რომ აღარ შეუძლია, ესე იგი ასეა და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ".

**ბაჩო სვანიძე**


ამ პრობლემებს მოგიხსნით

ტრიმოლი

სამმაგი მოქმედების ფორმულა

ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.




რეგისტრაციის № R0003702

- სიცხის დამწევი
- ტკივილგამაყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

აჯანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148/III

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას


## სამი ერი. მეორე ტური. დანიდინი. 12 ივლისი

# ქურციკებმა ათწლიანი ნავსი გატეხეს

# ახალი ზელანდია 30-ზე ვერ ავიდა

**ახალი ზელანდია 28:30 სამხრეთ აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, სივივატუ, კ. სმიტი, ნონუ, ულფი, კარტერი, ელისი; კაინო, სოიალო (კაპ), ტომპსონი, უილიამსი, ბორიჩი, აფოა, ჰორი, ვუდკოკი

შეცვლაზე შევიდნენ: მილამუ, ტიალატა, ონილი, ლაუაკი, კოუანი, დონალდი, მაკდონალდი

1ლ: ლაუაკი; 1გ: კარტერი; 6ს: კარტერი; 1ა: კარტერი

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, პიტერსენი, იაკობსი, დეფილიესი, ჰაბანა, ჯეიმსი, იანუარი; ფან ნიკერკი, ჟ. სმიტი, ბულხერი, მეტფილდი (კაპ), ბ. ბოთა, ფანდერ ლინდე, დიუპლე, სტიინკამპი

შეცვლაზე შევიდნენ: ბრიცი, უჯატი, ბეკერი, ვატცონი, პიენაარი, შტეინი, ჯანტისი

2ლ: პიტერსენი, იანუარი; 1გ: შტეინი; 5ს: მონტგომერი (3), ჯეიმსი (2); 1ა: ჯეიმსი



ბრაიან ჰაბანამ და მისმა სამხრეთ აფრიკამ ახალი ზელანდია დააწიოკეს

**უეჭველი** სამხრეთული სამი ერის მეორე უქმეებზე სამხრეთ აფრიკამ სტუმრად მოყოყოჩებული ახალი ზელანდია გმირულად 30:28 მიანგრია და სადაცაა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) განსაახლებელ რეიტინგში კვლავ სეფეგუნდობას დაიბრუნებს.

სამხრეთ აფრიკას ახალ ზელანდიაში 1998 წლის აქეთ ვერ მოეგო და ათწლიანი ნავსი ახლაღა გატეხა. ახალ ზელანდიას კი შინ ზედიზედ 29 მატჩი ჰქონდა მოგებული და სარეკორდო, 30-ე მატში ველარ გაიმარჯვა.

წინა კვირას „ოლ ბლექსმა" სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს" ქარიან ველინგტონში უმასპინძლა და საშინელ ავდარში ბოლო ათ წუთში გატეხა.

ერთი კვირის თავზე კი მატჩი მთლად ქვეყნის დასალიერში, სტუდენტურ ქალაქ დანიდინში ჩატარდა, სადაც ბოლო ტესტი სამი წლის წინ გამართულა, რაკი ზელანდიური რაგბის მამებმა იქაური „ქარისბრუქი" სიძველის გამო დაიწუნეს და ოთაგოს პროვინცია სამი წლით დიდი რაგბის გარეშე დატოვეს. ახლა კი „ქარისბრუქს" 2011 წლის მსოფლიოს თასისთვის რეკონსტრუქცია უტარდება, ფერზეც მოსულა და იქაურებს ეშხიანი სამი ერის უმაგრესი მატჩით დაუბრუნეს რაგბი. აქვე ვთქვათ, რომ „ქარისბრუქის" გათანამედროვეობა 188 მილიონი ზელანდიური დოლარი ჯდება და ამ თანხას ოთაგოს უნივერსიტეტი იხდის!

სხვათა შორის, დანიდინში ბოლოს, ანუ 2005 წლის აგვისტოში სწორედ ახალმა ზელანდიამ და სამხრეთ აფრიკამ ირაგბეს და მაშინ, სამი ერის გადამწყვეტ ჯახში, მასპინძლებმა ბოლოსლა გატეხეს სტუმრები — 31:27. მაშინდელი მატჩის მონაწილეთაგან ამ შაბათს „ოლ ბლექსს" მაილს მულიაინა, ტონი ვუდკოკი, ალი უილიამსი და როდნი სოოიალო შემორჩა, სამხრეთ აფრიკას კი ერთბაშად ათი კაცი ჰყავდა: პერსი მონტგომერი, ბრაიან ჰაბანა, იან დე ფილიერსი, რიკი იანუარი, სიჯეი ფან დერ ლინდე, ვიქტორ მეტფილდი, სხალკ ბერხერი, ბაქის ბოთა, ჟუან სმიტი და ჯო ფან ნიკერკი.

ამჯერად აფრიკას აკლდა კაპიტანი და ძირითადი ჰუკერი (2 ნომერი) ჯონ სმიტი, რომელიც წინა მატჩში ზელანდიელთა მორკინალმა ბრედ სორნმა სასტვენის შემდეგ განზრახ აიტაცა, ბეჭებზე დაანარცხა და საზარდული ატკინა, რის გამოც სმიტი მინიმუმ ორ კვირას ვერ ითამაშებს, ხოლო სორნი ოდენ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ტრავმის გამო სმიტი შინ გაემგზავრა და დაიბარა, მართალია, ტელევიზორთან მომიწევს ნერვების წყვეტა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენები მეტოქეს ჩემს ამბავს არ შეარჩენენ და ნამატჩევს მისალოცად დავურეკავო.

სანამ სმიტს დასარეკად ექნებოდა საქმე, იქამდე დანიდინის 35-ათასიანი „ქარისბრუქი" პირთამდე შეივსო, დიდ რაგბის დანატრებულმა ოთაგოელებმა ერთი თვით ადრე შეიძინეს ყველა ბილეთი და თავისიანთა საქომაგოდ ლიანგად მიაწყდნენ სტადიონს. მატჩი ქულაქულაში მიდიოდა. მასპინძელთაგან მსოფლიოს, ალბათ საუკეთესო 10 ნომერმა, დენ კარტერმა გამოიდო თავი, რომელმაც მოედნის ყველა წერტილიდან შესაშური სიზუსტით ურტყა და გარდასახვასა და ექვს საჯარიმოს საფირმო არეკნიც მიაყოლა.

კარტერს არც მეტოქე ჩამორჩა. ჯიპი პიტერსენმა, რომელსაც იმ დღეს 22 წელი შეუსრულდა, ლელოც გაიტანა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ზელანდია მაინც 28:23 იგებდა. ამ დროისთვის სამხრეთ აფრიკა კანცნაკლული იყო — მეტოქის კისერში შებოჭვისთვის მსაჯმა მატჩის ბოლომდე აფრიკელთა კაპიტანი ვიქტორ მეტფილდი გააგდო. მასპინძლები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ, როდესაც სტუმრებმა ჯარიმა გაითამაშეს, ბურთი რიკი იანუარმა აიღო. მას შეეძლო, პასი ორივე მხარეს გაეკეთებინა, მაგრამ მის შესაბოჭად დაძრულ მეტოქეს; ბურთი თავზე ფეხით ოსტატურად გადაავლო, თვითონვე დაეუფლა და მეტოქის ლელოში შეცურდა. ანგარიში გათანაბრდა და „ოლ ბლექსი" იმის იმედადღა იყო, რომ ფრანსის შტეინი ლელოს ვერ გარდასახავდა, მაგრამ აფრიკელთა ვუნდერკინდს ფეხი არ აჰკანკალებია და თავისიანებს გმირული თამაში მოაგებინა.

**ბაჩო სვანიძე**

**სამი ერი 2008**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 1 | 0 | 1 | 47:38 | 1 | 5 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 38:47 | 0 | 4 |
| ავსტრალია | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

# ოკეანეთის მომგები მაორები

**მაორები 21:18 ავსტრალია A**

**ახალზელანდიელმა** მაორებმა ფინალის ტოლფას მატჩში ავსტრალიის მეორე ნაკრებს მოუგეს და ოკეანეთის თასი დაისაკუთრეს. შეგახსენებთ, რომ ოკეანეთის თასი რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) მეორე დონის სამხრეთული ნაკრებებისთვის მეტი ტესტის და გამოცდილების მისაღებად მოიფიქრა.

ამ ტურნირზე ახალმა ზელანდიამ აბორიგენი მაორების ნაკრები მიავლინა, ავსტრალია კი მეორე ნაკრებით რაგბობდა, ხოლო სამოა, ფიჯი, იაპონია და ტონგა ძირითადი რაზმებით თამაშობდნენ.

ჩვენთვის ეს ტურნირი იმითაც იყო საინტერესო, რომ IRB-ის მსოფლიო რეიტინგში საქართველოზე ერთი ადგილით წინ მდგომი ტონგა ამ ტურნირზე თამაშობდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაორები | 5 | 0 | 0 | 134:62 | 1 | 21 |
| ავსტრალია A | 4 | 0 | 1 | 220:77 | 4 | 20 |
| სამოა | 2 | 0 | 3 | 95:117 | 2 | 10 |
| ფიჯი | 2 | 0 | 3 | 94:117 | 2 | 10 |
| იაპონია | 1 | 0 | 4 | 121:181 | 3 | 7 |
| ტონგა | 1 | 0 | 4 | 71:181 | 2 | 6 |

# ჰანესკუმ ნასტასე გაიმეორა

**კაცები**
**გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი**
**საპრიზო 389 000 ევრო**

**ნახევარფინალი**

**ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — სტანისლას ვავრინკა (1, შვეიცარია) 6:3 3:6 6:4; იგორ ანდრეევი (7, რუსეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 7:6 5:7 7:6**

**ფინალი**

**ჰანესკუ — ანდრეევი 6:3 6:4**

პირველი საკარიერო ტიტული ეღირსა ვიქტორ ჰანესკუს, რომელიც ამ გამარჯვებით გვერდში ამოუდგა ლეგენდარულ თანამემამულე ილიე ნასტასეს, რადგანაც აქამდე ის ერთადერთი რუმინელი გახლდათ, რომელსაც გშტაადში ჩემპიონა (1973 წელს).

ისე, ანდრეევს ძალიან არ გაუმართლა, რადგანაც წვიმის გამო მისი ნახევარფინალი გილერმო გარსია-ლოპესთან შაბათიდან კვირას გადაიტანეს. სწორედ ამიტომ რუსს გუშინ ორჯერ მოუწია კორტზე გასვლა. ჰოდა, გასაკვირი აღარაა, რომ ესპანელთან გადატანილი უმძიმესი ბრძოლიდან ორიოდ საათში სლავმა სერიოზული წინააღმდეგობა ველარ გაუწია ჰანესკუს.

მეორეს მხრივ, ნურც რუმინელს დავუკარგავთ მიღწეულს. ჰანესკუს გშტაადში ჩასვლისას ზურგზე მძიმე ტვირთად აწვა წაგებების გრძელი სერია — გასული წლის სექტემბრიდან მას ერთხელაც არ მოეგო. სამაგიეროდ, ალპებში მან დიდებულად ითამაშა და ჯერ კვალიფიკაცია გაიარა, შემდეგ კი მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაირბინა და გზად ისეთ მეტოქეებს გაუმკლავდა, როგორებიც იყო კარლოვიჩი და ტურნირის პირველი ნომერი სტანისლას ვავრინკა არიან.

სხვათა შორის, ეს პირველი რუმინული ტიტულია 2001 წლის შემდეგ, როცა ანდრეი პაველმა მონრეალის მასტერსის ფინალში პატრიკ რაფტერი გააკრა ბეჭებზე.

**კაცები**
**ბასტადი. შვეცია. თიხნარი**
**საპრიზო 326 000 ევრო**

**ნახევარფინალი**

**ტომი რობრედო (3, ესპანეთი) — დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) 2:6 6:1 6:2; ტომაშ ბერდიხი (4, ჩეხეთი) — ფერნანდო ვერდასკო (2, ესპანეთი) 2:6 6:3 6:2**

**ფინალი**

**რობრედო — ბერდიხი 6:4 6:1**

კარიერაში მე-7 და წლეულს თავისი პირველი ტიტული გაინაღდა ტომი რობრედომ.

შვედურ ბასტადში რობრედომ იხეირა კიდეც და ნახევარფინალში თანამემამულე დავიდ ფერერის დამარცხებით შურისძიებაც მოასწრო. ეს ესპანელი ტომის წლეულს ორჯერ, ბარსელონაში (ნახევარფინალი) და ვალენსიაში (ფინალი) გადაეღობა და ტიტულამდე არაფრის დიდებით არ მიუშვა, თუმც ამჯერად რობრედოს ჯერი იყო, რომელმაც აშკარად დაჩაგრა მეტოქე უკანა ხაზიდან თამაშში და ტიტულისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა.

ფინალში კი ესპანელს საერთოდ არ გასჭირვებია, რადგანაც ტომაშ ბერდიხი თიხნარის სპეციალისტად არასდროს მიიჩნეოდა. რობრედომაც აღარ გაწელა და საათზე ოდნავ მეტი მოანდომა 22 წლის ჩეხის განადგურებას.

**კაცები**
**შტუტგარტი. გერმანია. თიხნარი**
**საპრიზო 568 000 ევრო**

**ნახევარფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) — ედუარდო შვანკი (8, არგენტინა) 6:2 6:4; რიშარ გასკე (2, საფრანგეთი) — აგუსტინ კალერი (6, არგენტინა) 6:7 6:2 6:3**

**ფინალი**

**დელ პოტრო — გასკე 6:4 7:5**

ჰანესკუს დარად, თავისი პირველი ტიტული მოიგო ხუან მარტინ დელ პოტრომაც. მიუხედავად იმისა, რომ გრუნტზე თამაშობდა, აყლაუყუდა არგენტინელმა მაინც მოწოდების ხარჯზე იხეირა. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ მან მთელი ტურნირს განმავლობაში მხოლოდ კინკილა სეტი დათმო.

ფინალში კი დელ პოტრო რიშარ გასკეს გაუმკლავდა, რომელიც ტურნირის მოგების უეჭველ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. ამის მიუხედავად, არგენტინელმა თვალსაჩინოდ დაჩაგრა მეტოქე, ხოლო როცა გასკემ შეძლო თამაშის მეტ-ნაკლებად გათანაბრება, იქ არგენტინელს წვიმა დაეხმარა — კორტზე მობრუნებისთანავე დელ პოტროს უპირატესობა ისევ გამოიკვეთა და მანაც მალე მოათავა საქმე.

**კაცები**
**ნიუპორტი. აშშ. ბალახი**
**საპრიზო 385 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**ფაბრის სანტორო (2, საფრანგეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 7:6 6:1; პრაკაშ არმიტრაჯი (ინდოეთი) — ფრენკ დანსევიჩი (7, კანადა) 7:6 4:6 6:3**

საკმაოდ საინტერესო გამოდგა ვეტერანების, ორი 34 წლის მეჩოგნის, ფაბრის სანტოროსა და ვინსენტ სპადეას ჯახი. პირველმა სეტმა თანაბარ ომში ჩაიარა, მაგრამ ბოლოს მოქმედმა ჩემპიონმა მაინც იძალა და დაწინაურდა. მეორე პარტიაში კი სანტორო ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე.

ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ხნიერი“ ნახევარფინალი იყო 1990 წლის შემდეგ. ყველაზე „ასაკოვანი“ ნახევარფინალი 1993 წელს გაიმართა სან ხოსეში, როდესაც ერთმანეთის პირისპირ ბრედ ჯილბერტი და ჯიმი კონორსი იდგნენ — მაშინ მათი საერთო ასაკი 71,9 წელს ითვლიდა. მეორე ადგილზე კი 1991 წლის ბაზელის ნახევარფინალია იმავე კონორსსა და ჯონ მაკინროის შორის, რომელთა საერთო ასაკიც 71,7 წელი იყო.

სანტოროსთვის ტიტულის ართმევას კი კვალიფიკაციიდან მოხვედრილი ინდოელი პარკას არმიტრაი შეეცდება.

**ქალები**
**ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი**
**საპრიზო 175 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**ანდრეა კლეპაჩი (სლოვაკეთი) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 6:2 4:6 6:4; ალიზ კორნე (2, საფრანგეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:1 6:1**

**ფინალი**

**კორნე — კლეპაჩი 7:6 6:3**

ალიზ კორნე ძალიან მალე თიხნარის ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი იქნება ქალთა შორის. ახალგაზრდა ფრანგი წლეულს მართლაც საოცარ პროგრესს განიცდის და ყოველ მატჩში სულ უფრო და უფრო უმატებს. კორნე ყველაზე მეტად სწორედ გრუნტზე ჩაუქობს, რადაგანც წლეულს რამდენიმე შთამბეჭდავი შედეგი სწორედ ამ საფრაზე აჩვენა.

ყველაზე მეტად ალბათ რომის წარმომადგენლობით ტურნირზე ფინალში გასვლა უნდა გავიხსენოთ, სადაც კორნემ ღირსეულ ბრძოლაში წააგო ელენა იანკოვიჩთან. აგერ ახლა კი ბუდაპეშტში ფრანგმა იმავე თიხნარზე შეძლო თავისი პირველი ტიტულის მოგება. კორნემ მთელი ტურნირი მართლაც რომ იფრინა და ფინალშიც ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა სლოვაკი ანდრეა კლეპაჩი.

**ქალები**
**პალერმო. იტალია. თიხნარი**
**საპრიზო 145 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**სარა ერანი (5, იტალია) — ფლავია პენეტა (1, იტალია) 7:5 6:3; მარია კორიცევა (უკრაინა) — ანაბელ მედინა გარიგესი (2, ესპანეთი) 6:2 6:2**

**ძაბა ლომაშვილი**



ხუან მარტინ დელ პოტრომ ტიტულთან ერთად ახალთახალი „მერსედესიც“ დაიტოვა



მაკა ჩახნაშვილი

# ჩახნაშვილმა პალერმოდან ბიელაში გადაინაცვლა

**გასული** კვირა საკმაოდ წარმატებული იყო მაკა ჩახნაშვილისთვის, რომელმაც მანამდე, შეგახსენებთ და, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის წოდება ანა ტატიშვილს დაუთმო.

ამ ფაქტმა მაკაზე, როგორც ჩანს, დადებითად იმოქმედა და მან მშვენივრად ითამაშა იტალიაში, კერძოდ კი, სიცილიური პალერმოს თიხნარზე, სადაც WTA-ს ეგიდით 145-ათასიანი ტურნირი იყო.

ჩახნაშვილმა პალერმოში კვალიფიკაციიდან დაიწყო, სამი მეტოქის გავლით ძირითად ბადეს უწია და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც პირველ ნომრად განთესილ მასპინძელთან, WTA-ს რეიტინგის 21-ე საფეხურზე მყოფ ფლავია პენეტასთან 1:6 1:6 დამარცხდა.

პალერმოდან მაკამ მეორე იტალიურ ქალაქ ბიელაში გადაინაცვლა. იქ ამ კვირაში ITF-ის ეგიდით საკმაოდ წარმომადგენლობითი, 100-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და ქართველი ჩოგბურთელი ძირითად ბადეში ითამაშებს.

# ანამ სტენფორდში ვერ ივარგა

**ITF-ის** დონის ტურნირებზე ბოლოდროინდელი, უაღრესად წარმატებული თამაშის შემდეგ, 18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა გაცილებით მაღალ, WTA-ტურის დონეზე მოსინჯა ძალები, მაგრამ ამ ჯერზე პირველივე შეხვედრაში დამარცხდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტენფორდის მაგარსაფარზე 600-ათასდოლარიანი ტურნირია და ანა კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას. პირველ წრეში ქართველს მეტოქედ კვალიფიკანტთა შორის მეორე ნომრად განთესილი რუმინელი, WTA-ს რეიტინგის 81-ე პოზიციაზე მყოფი მონიკა ნიკოლესკუ ერგო და მათი შეხვედრა ცალკორტა გამოდგა — რუმინელმა 6:0 6:1 იმარჯვა.

# მიხაილ ქართველთმუსვრელი

**ლადო ჩიხლაძისთვის** აზერბაიჯანში, ბაქოს თიხნარზე ITF-ის ეგიდით გამართული ტურნირი ნახევარფინალში დასრულდა. ქართველი ბაქოში პირველ ნომრად იყო განთესილი და ნახევარფინალამდე უპრობლემოდაც მივიდა, მაგრამ მეხუთე ნომრად განთესილ 22 წლის რუს მიხაილ ვასილიევს ველარაფერი მოუხერხა.

ვასილიევმა, ვისაც ATP-ის რეიტნგში 755-ე პოზიცია უკავია, ჩვენებურს ოდენ ორი გეიმი დაუთმო და 6:1 6:1 იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ამ რუსმა კიდევ ორ ქართველს აჯობა და ჯამში, სამ ჩვენებურთან, სულ 7 გეიმი წააგო — პირველ წრეში ვასილიევმა 6:1 6:3 დაამარცხა ნოდარ ითონიშვილი, მეორეში კი 6:1 6:0 გაანადგურა დემეტრე თაქთაქიშვილი.

# ირაკლი ლაბაძის ჰოლანდიური კვირეული

**ირაკლი ლაბაძემ** ერთ კვირაში ორ ტურნირზე მოასწრო თამაში. გასული კვირის დასაწყისში ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს, ჰოლანდიაში, შევენინგენის 85-ათასევროიან ჩელენჯერზე თამაშობდა და მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც მასპინძელ ტიმო დე ბეკერთან სამ სეტში დამარცხდა.

შევენინგენიდან ლაბაძემ ჰოლანდიაშივე, ამერსფორტის თიხნარზე გადაინაცვლა. ამერსფორტში ATP-ის ეგიდით 326-ათასევროიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში მოხვედრა ირაკლიმ კვალიფიკაციიდან სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ქართველმა 6:4 6:7 7:5 კი მოუგო კორტის მასპინძელ როჯერ ვასენს, მაგრამ მეორე და გადამწყვეტ შეხვედრაში 5:7 6:4 0:6 წააგო კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილ ესპანელ დავიდ მარეროსთან.



# ელენას 22-ე და 503
## ისინბაევას ბუბკას 36 უნდა

**გააბრაზეს**, ძალიან გააბრაზეს ელენა ისინბაევა. ბოლოს როდის იყო, სეზონის საუკეთესო შედეგი ამ რუს ჭოკოსან ქალს რომ არ ეკუთვნოდა, ალბათ აღარავის ახსოვს და ამ ერთი კვირის წინ კი ამერიკელმა ჯენი სტუჩინსკიმ თავისი ქვეყნის შიდა პირველობაზე 4 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე ისკუპა, ამერიკისა და სეზონის საყოველთაო რეკორდი დაამყარა და ამ ნახტომით ისინბაევას შემოუთვალა, პეკინში შევხვდებით და არ გეგონოს, ძველებურად თავზე გადაგვახტეო.

ელენას პასუხმა არ დააყოვნა და პასუხიც არის და პასუხიც — რომში, „ოქროს ლიგის“ მესამე ეტაპზე მეჭოკეთა რუსი დედოფალი 503 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. ეს კი ახალი მსოფლიოს რეკორდია და ძველს, რომელიც რაღა სათქმელია და თავადვე ელენას ეკუთვნოდა, 2 სანტიმეტრით აღემატება.

ისინბაევამ რომში, პრაქტიკულად, იდეალურად იხტუნავა — 470, 485 შემდეგ 495, რომლითაც მან სეზონის რეკორდი დაიბრუნა და ბოლოს 503 სანტიმეტრი. ბოლო ხანებში წყვილრიცხვიან სიმაღლეებზე აღარ მიმართლებს. 502-ზე რამდენჯერ ვცადე და არაფერი გამომივიდა, თანაც ამ სიმაღლეს (ანუ 502-ს) ამას წინათ სტუჩინსკიმაც შეუტია და მე და ჩემმა მწვრთნელმა ვიტალი პეტროვმა გადავწყვიტეთ, ძველი რეკორდისთვის 2 სანტიმეტრი დაგვემატებინა და 503 სანტიმეტრისთვის შეგვეტიაო — ცოტათი ამერიკელ კონკურენტსაც გაკრა კბილი ელენამ, ვისთვისაც ეს 22-ე მსოფლიო რეკორდი იყო.

36 რეკორდი მინდაო, ამბობს ისინბაევა. სერგეი ბუბკამ ხომ 36 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და მეც ამდენი მინდაო და არც გაემტყუნება — რაც ლეგენდარული უკრაინელი კაც მეჭოკეებში იყო, სწორედ ისაა ელენა ქალებში. 2013 წლამდე ვაპირებ ხტომას და 515-520 სანტიმეტრ სიმაღლეზე ვფიქრობ. ცალკე დარბაზებში, ცალკე ღია არენებზე და წელიწადში სამი რეკორდი რომ დავამყარო, 36-მდე ნაღდად ავალო — ყველაფერი დათვლილ-დაგეგმილი აქვს ისინბაევას, ვინც პეკინამდე კიდევ სამ სტარტს გეგმავს, ლონდონში, სტოქჰოლმსა და მონტე კარლოში.

რომში კი ელენას კონკურენტი არ ჰყოლია. მეორე ადგილზე გასული პოლონელი მონიკა პირეკი 475 სანტიმეტრზე გაჩერდა, ხოლო ისინბაევას თანამემამულე და ოდინდელი კონკურენტი სვეტლანა ფეოფანოვა 465 სანტიმეტრით დაკმაყოფილდა.

ისინბაევას რეკორდის გარდა რომში სხვაც ბევრი რამ მოხდა საინტერესო. დავიწყოთ იმით, რომ „ოქროს ლიგის“ მილიონდოლარიან ჯეკ პოტზე ორი კანდიდატია დარჩენილი და ორივე ქალია — ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი და 800 მეტრზე სირბილის კენიელი ოსტატი პამელა ჯელიმო.

ვლასიჩმა ზედიზედ 32(!) გამარჯვება მოიპოვა, თუ ამჯერად მისთვის საშუალოდ ქცეული 200 სანტიმეტრიანი სიმაღლით დაკმაყოფილდა და ორ-ორი სანტიმეტრით აჯობა დაბლა დარჩენილ კონკურენტებს, რუს ელენა სლესარენკოსა და ბელგიელ ტია ელებუს. ჯელიმომ კი თავისი 800 მეტრი წუთსა და 55,69 წამში გაირბინა და წამის ხუთი მეასედით ჩამოიტოვა თანამემამულე ჯანეტ ჯეპკოსგეი.

უდიდეს ინტერესს იწვევდა კაცთა 400 მეტრზე სირბილი. ყველაფრის ჩემპიონი ამერიკელის ჯერემი უორინერის ტახტი საკმაოდ შეარყია მეორე ამერიკელმა ლეშონ მერიტმა, რომელმაც თავის სახელგანთქმულ თანამემამულეს წლეულს ორჯერ აჯობა, მათ შორის ქვეყნის შიდა ჩემპიონატშიც. რომში უორინერმა რევანში კი აიღო, მაგრამ ძალიან გაუჭირდა, ოდენ წამის ერთი მეასედით გაუსწრო მეტოქეს, თუ ამას გასწრება ჰქვია. არადა, დისტანციის სამი მეოთხედის შემდეგ თეთრი ამერიკელი შავს გვარიანად ჯაბნიდა, მაგრამ ბოლოსკენ მერიტმა დამატებითი სიჩქარე ჩართო და უორინერს გამარჯვება საეჭვო გაუხადა.

კაცთა 100 მეტრზე სირბილის დიდი სამეულიდან (უსაინ ბოლტი, ასაფა პაუელი, ტაისონ გაი) რომში მხოლოდ პაუელი ჩავიდა, მაგრამ ახლა ალბათ ნანობს და იძახის, ნეტავ არ ჩავსულიყავიო. საქმე იმაშია, რომ ნახევარფინალური გარბენისას ასაფამ საზარდულის ტრავმა მიიღო და ფინიშამდე კი უწია, მაგრამ 10,19 წამი შედეგით მხოლოდ მეხუთე იყო და ფინალში ვერ გავიდა. უბრალო დაჭიმულობაა, არა მგონია, ამ ტრავმამ ასაფას საპეკინო სამზადისზე გავლენა იქონიოსო — ასე ამშვიდებდა პაუელის ქომაგებს იამაიკელი სპრინტერის მენეჯერი პოლ დოიკი.

100 მეტრზე ფინალური გარბენი კი დღევანდელობისთვის საშუალოზე საშული 10,04 წამით პორტუგალიელმა ევროპის ჩემპიონმა ფრენსის ობიკველუმ მოიგო.

13,08 წამში გალი თარჯებიანი 110 მეტრი კუბელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა დეირონ რობლესმა და გამარჯვების შემდეგ თავისი უმთავრესი საპეკინო მეტოქის, ჩინელი ექსრეკორდსმენის ლიუ სიანის შესახებ თქვა, პეკინში მაგას ფრთები ექნება გამოსხმული და ჩვენს შეჯიბრში იქნებ ახალი რეკორდიც დამყარდესო.

შუბის მტყორცნელ კაცთა მსოფლიოს ჩემპიონმა, ფინელმა ტეპო პიტკიამაკიმ ამას წინათ რუს მაკაროვთან რომ წააგო, ეტყობა, ამან ძალიან გააბრაზა და რომში კონკურენტები სამ მეტრზე ახლოს არ გაიკარა — 87,70 მეტრზე გატყორცნა შუბი, მეორე ადგილზე გასული კიდევ ერთი ფინელი ტეპო იარვენპია კი 84,53-ით დაკმაყოფილდა.

### რომი. იტალია. „ოქროს ლიგის“ მე-3 ეტაპი

| | |
|---|---|
| 100მ ფრენსის ობიკველუ (პორტუგალია) | 10,04 |
| 400მ ჯერემი უორინერი (აშშ) | 44,36 |
| 800მ ამინ ლაალუ (მაროკო) | 1.44,27 |
| 1500მ ასბელ კიპრორი (კენია) | 3.31,64 |
| 5000მ სილეში სიჰინე (ეთიოპია) | 13.04,94 |
| 110მ თარჯრბენი დეირონ რობლესი (კუბა) | 13,08 |
| 400მ თარჯრბენი კერონ კლემენტი (აშშ) | 48,23 |
| 3000მ წინაღობებით ბრიმინ კიპრორ კიპრუტო (კენია) | 8.15,71 |
| სიგრძეზე ხტომა ირვინგ სალადინო (პანამა) | 8,30 |
| შუბის ტყორცნა ტეპო პიტკიამაკი (ფინეთი) | 87,70 |
| **ქალები** | |
| 200მ კერონ სტიუარტი (იამაიკა) | 22,34 |
| 400მ ელისონ ფელიქსი (აშშ) | 50,25 |
| 800მ პამელა ჯელიმო (კენია) | 1.55,69 |
| 5000მ ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია) | 14.36,58 |
| 100მ თარჯრბენი ბრიჯიტ ფოსტერ-ჰილტონი (იამაიკა) | 12,60 |
| 400მ თარჯრბენი მელანი უოკერი (იამაიკა) | 54,36 |
| სიმაღლეზე ხტომა ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია) | 2,00 |
| ჭოკით ხტომა ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 5,03 |



# კოკაის ცუდი და ტოჩინოშინის კარგი
## ივლისის ბაშო ქართველებმა მოგება-წაგებით გახსნეს




**გუშინ** ქალაქ ნაგოიაში დაიწყო სეზონის მეოთხე, ივლისის ბაშო. ზაფხულის ტურნირზე უმაღლეს, მაკუჩი დივიზიონში ორი ქართველი ფალავანი, კოკაიდ წოდებული ლევან ცაგურია და ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე გამოდის. გასულ ბაშოზე ცუდი შედეგის გამო პირველი მაეგაშირობიდან მე-10 მაეგაშირობამდე დაქვეითებულმა კოკაიმ სადებიუტო შერკინება ხატაკიკომით დათმო მასავით მე-10 მაგეშირა ტამანოსიმასთან. ცაგურია მომდევნო ორთაბრძოლას დასავლეთის მე-11 მაეგაშირა ტამაკასუგასთან გამართავს.

ლევან გორგაძემ კი ივლისის პირველი შეხვედრა უვატენაგეთი მოუგო აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირა ტოცანოუმის. შემდეგი ორთაბრძოლა ტოჩინოშინს აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა მასაცუკასასთან ექნება.

თავის პირველი შეხვედრა წააგო დიდმა ჩემპიონმა ასასიორუმ. იგი უვატენაგეთი დამარცხდა დასავლეთის კომუსუბი ტიონოსიმასთან. მეორე მონღოლმა იოკოძუნა ხაკუხომ იორიკირით მოუგო კომუსუბი კისენოსატოს, ხოლო გასული ბაშოს ჩემპიონმა, ბულგარელმა კოტოოსიუმ აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა ამინისიკისთან წააგო.

**ზურაბ მიგრიაული**



# ქართველები მეექვსე ადგილს დასჯერდნენ

**იტალია 27:30 საქართველო**

**საქართველო:** ქანტურია (7), მსხვილიძე, რუსია (4), თევზაძე, ანდრიაძე, წივწივაძე (2), ი. ჩიქოვანი (2), ბერძენიშვილი (5), გოგოლაძე (4), მაისურაძე (4), გ. კობახიძე (1), ყიფიანი (1)

**საქართველო 26:34 პოლონეთი**

**საქართველო:** თევზაძე, ანდრიაძე, ქანტურია, წივწივაძე, ჩიქოვანი (4), ბერძენიშვილი (1), გოგალაძე (5), მაისურაძე (4), გ. კობახიძე (4), მ. კობახიძე (4), ყიფიანი (4)

**იტალიაში** გამართულ მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა თურქეთის გუნდთან დამარცხების შემდეგ მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ნახევარფინალში მასპინძელ იტალიას 30:27 მოუგო. პირველ ნახევარში ჩვენები საკმაოდ დიდი სხვაობით წავიდნენ წინ (17:8) და შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა, მიუხედავად საბოლოო ანგარიშში არცთუ დიდი სხვაობისა, აღარ გასჭირვებიათ.

სამწუხაროდ, ქართველმა ხელბურთელებმა მე-5 ადგილისთვის შეხვედრა პოლონელ სტუდენტებთან დათმეს. ჩვენებმა პირველი ნახევარი 13:16 წააგეს და ვერც მეორე ტაიმში შეძლეს მატჩის ბედის შემოტრიალება. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები 26:34 დამარცხდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-6 ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა და ამ ტურნირზე საუკეთესოდ მოთამაშე ვლადიმერ რუსიამ პოლონეთთან მატჩი გამოტოვა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გუნდის თამაშზე.

**ზურაბ მიგრიაული**



# ერთი ნაბიჯი პეკინამდე

**ჰამბურგში** გამართულ ევროპის ჩემპიონატზე პლაჟის ფრენბურთში ბრაზილიურ-ქართულმა წყვილმა საქამ და რთველომ საკმაოდ წარმატებით ითამაშეს. ჩვენებმა, პირველ დღეს ორი გამარჯვების შემდეგ, ავსტრალიელებს, მონტანიოლისა და სვობოდას მოუგეს — 2:0 (221:16, 21:18). მომდევნო მატჩში კი გერმანულ (როლი-რაუ) ტანდემთან ჩაატარეს და დამარცხდნენ — 0:2 (13:21, 16:21).

საერთო ჯამში ბრაზილიურ-ქართულმა წყვილმა ტურნირზე სამი გამარჯვების წყალობით სარეიტინგო ქულათა მარაგს 330 ქულა დაუმატა, ოლიმპიადის კვალიფიკაციისათვის 200 ქულა მიიღოს და ამასთან ერთად 3000 დოლარსაც გამოჰკრას ხელი.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე სხვადასხვა ქვეყნის 24 წყვილი ითამაშებს. აქედან 23-ს საგზური განაღდებული აქვს, ხოლო დარჩენილი ერთი ლიცენზიის ასაღებად ჩვენს საქა-რთველოს, სარპუფურეს ფრანგულ წყვილს და ფინელი დების, ნისტრომების დუეტს მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსები აქვთ. მაგრამ ამათგან უკეთეს პოზიციაში მაინც ბრაზილიელ-ქართველები არიან. ოლიმპიადამდე კი მარსელის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია. ეს ტურნირი დარჩენილი ერთი საგზურის მფლობელის ვინაობას გაარკვევს.

**ზურაბ მიგრიაული**

## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი



მარკ კავენდიში



რიკარდო რიკო

# ახალი თაობა: სპრინტის კავენდიში და მთების რიკო

**23 წლის** ბრიტანელი მარკ კავენდიში პირველი მრბოლია, რომელმაც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" ორი ეტაპის მოგება მოახერხა. ამერიკული „კოლუმბიას" წევრმა, ვინც საკუთარ თავს თანამედროვე პელოტონის საუკეთესო სპრინტერს უწოდებს, შაბათს ფიჟედან ტულუზამდე გაჭიმულ 172,5-კილომეტრიან მერვე ეტაპზე იმარჯვა. მანამდე კავენდიშმა ოთხშაბათს მოიგო მეხუთე ეტაპი და ამრიგად, წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე" მოპოვებულ ორ გამარჯვებას ორი „ტურზეც" დაამატა. მართლაც მშვენიერი შედეგია 23 წლის მრბოლისთვის და კუნძულ მენზე დაბადებულ ბიჭს არც გაემტყუნება რომ ამბობს, საუკეთესო სპრინტერი ვარო.

შაბათის ეტაპი ბოლო იყო პირინეების წინ. რბოლის შემდეგ კავენდიშმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება— თავიდანვე გამარჯვება დავგეგმე, რადგანაც ხვალიდან მთები იწყება, ამ მთებიდან რა ძალა და ენერგია გამომყვება, ძნელი სათქმელია და ამიტომაც მთელი აქცენტი დღევანდელ ეტაპზე გავაკეთეო.

სავარაუდოდ, კავენდიშის დარად ფიქრობდნენ სხვა სპრინტერებიც. გუნდებსაც ამ ეტაპისთვის, სწორედ თავიანთი ფინიშიორების ეიმედებათ, ტაქტიკაც შესაბამისი ჰქონდათ შერჩეული და პელოტონიდან გაქცევის ყველა მცდელობა თავიდანვე კრახისთვის იყო განწირული.

მიუხედავად ამისა, ფრანგი ლორან ლეფევრი საკმაოდ მალე დაწინაურდა და შემდეგ მას თანამემამულენი, ჟერომ პინიო, კრისტოფ რიბლონი და ესპანელი ამეტს ტხურუკა შეუამხანაგდნენ, მაგრამ პელოტონმა უპრობლემოდ ჩაყლაპა გაქცეულები და ტულუზის ქუჩებში კი „კოლუმბიას" მრბოლებმა ნამდვილად კლასიკა დადგეს, როდესაც კავენდიშს ბოლო იერიშისთვის იდეალური პირობები შეუქმნეს და ბრიტანელმაც გრძელი საფინიშო სპურტით შანსი არავის დაუტოვა.

ეგ კი არა, კავენდიშის ზურგს უკან, ფინიშს მეორემ, ასევე „კოლუმბიას" წევრმა, გერმანელმა გერალდ ციოლეკმა უწია. მესამეზე ფრანგი ჯიმი კასპერი გავიდა და სპრინტის აღიარებული ოსტატები კი, ესპანელი ოსკარ ფრეირე (4), გერმანელი ერიკ ცაბელი (6), ნორვეგიელი ტორ ჰუსჰოვდი (9), სამხრეთ აფრიკელი რობერტ ჰანტერი (10), ავსტრალიელი რობი მაკივენი (17) უიმედოდ ჩამორჩნენ.

„ჩვენი გუნდი საუკეთესოა წლევანდელ „ტურზე". თავად განსაჯეთ — მე ეტაპი მოვიგე, ციოლეკი მეორე იყო, ხოლო გენერალურ კლასიფიკაციას ასევე „კოლუმბიას" მრბოლი კიმ კირხენი ლიდერობს. არადა, პელოტონი დღეს ძალიან ჩქარი იყო. თანაც საკმაოდ უხერხული პოზიცია მეკავა და საფინიშო სპურტიც ადრიანად დავიწყე. სენსაციური შედეგია" — აღფრთოვანებას ვერ მალავდა გამარჯვების შემდეგ კავენდიში და არც გაემტყუნება.

ამასობაში „ტურზე" პირველი დოპინგსკანდალი აგორდა და რბოლიდან მოკვეთეს „ლიქუიგასის" ესპანელი ველოსიპედისტი, 37 წლის ვეტერანი მანუელ ბელტრანი. კიდევ ოც მრბოლს კი სისხლში ჰემატოკრიტის ზღვრულთან მიახლოებული მაჩვენებელი აღმოაჩნდა. ზღვრულთან მიახლოებული აკრძალულს არ ნიშნავს, მაგრამ ეს მრბოლები ამიერიდან გაძლიერებული ყურადღების ქვეშ იქნებიან.

გუშინ კი ნამდვილი „ტურ დე ფრანსი" დაიწყო, ანუ პელოტონი მთებს შეუყვა. ტულუზიდან ბენერ დე ბიჟორამდე ველოსიპედისტებს 224 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. სამი მეოთხე და ერთი მესამე კატეგორიის უღელტეხილის შემდეგ, პელოტონის წინაშე პირველი კატეგორიის სირთულის მთები, პეირესურდე (ზღვის დონიდან 1569 მეტრი) და ასპინი (1489) აღიმართა. ერთი ეგ იყო, რომ ფინიში, უკვე ასპინის შემდეგ, ვაკეზე იყო, მაგრამ ამ სიმაღლიდან დაშვებაც საქმეა და არც აღმართში ფინიშია შორს — დღეს ველოქარავანი ორ უმაღლესი კატეგორიის მწვერვალს დალაშქრავს და ლეგენდარული ტურმალეს (2115) გადავლის შემდეგ, ჰაუტაკამის (1520) ზედა წერტილზე დაასრულებს რბოლას.

ორეტაპიან კავენდიშს გუშინ რიკარდო რიკო გაუთანაბრდა. „სონი დიუვალის" 24 წლის მრბოლმა ასპინის აღმართში შეუტია, ძირითადი ჯგუფი უკან მოიტოვა, მწვერვალის სიახლოვეს თითქმის მთელი ეტაპი წინ მყოფი „გეროლშტაინერის" სებასტიან ლანგიც „ჩაყლაპა" და მარტო დაეშვა დაღმართში, ფინიშისკენ.

ახალგაზრდა იტალიელის იერიში ფავორიტებმა მსუბუქად გადაიტანეს — ის ხომ გენერალური კლასიფიკაციის ლიდერთან 3 წუთსა და 52 წამს აგებდა და ისედაც, რიკო, რომელიც წლეულს მეორე სუპერრბოლაში მონაწილეობს, ყვითელი მაისურას კანდიდატად არ განიხილება. მაგრამ, მეორე მხრივ, გუშინ რიკარდომ თავის ჩამორჩენას წუთი და 17 წამი წამოაკლო და „ჯიროს" მეორე პრიზიორისადმი აგდებული დამოკიდებულება ბევრს შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

გუშინ კი რიკომ ბრწყინვალედ, მარკო პანტანის სტილში შეუტია და ისე ლამაზად იმარჯვა, როგორც ლეგენდარული პანტანი აკეთებდა ხოლმე.

საერთო ჩათვლის თავში ბევრი არაფერი შეცვლილა. ერთი ეგ იყო, რომ დევიდ მილარი ჩამორჩა უიმედოდ და მეშვიდედან ოცდამეხუთე ადგილზე დაქვეითდა. კიდევ, კედელ ევანსს ჰქონდა პრობლემები — ჯერ საბურავი დაეშვა, შემდეგ დაეცა და ძირითად ჯგუფს ჩამორჩა, მაგრამ თანაგუნდელების დახმარებით ყველაფერი მოაგვარა და კვლავაც მეორეა კირხენთან ექვსწამიანი ჩამორჩენით.

### მე-8 ეტაპი. ფიჟე–ტულუზი. 172,5 კმ

| | |
|---|---|
| 1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „კოლუმბია") | 4სთ 26წთ 54წმ |
| 2. გერალდ ციოლეკი (გერმანია, „კოლუმბია") | |
| 3. ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, „აგრიტუბელი") | |
| 4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | |
| 5. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | ყველას იგივე დრო |

### მე-9 ეტაპი. ტულუზი — ბანერ დე ბიჟორი. 224 კმ

| | |
|---|---|
| 1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 5სთ 39წთ 28წმ |
| 2. ვლადიმირ ეფიმკანი (რუსეთი, AG2R) | +1წთ 04წმ |
| 3. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R) | +1.17 |
| 4. დმიტრი ფოფონოვი (ყაზახეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | +1.17 |
| 5. კრისტიან კნეესი (გერმანია, „მილრამი") | +1.17 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია") | 38სთ 7წთ 19წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +6წმ |
| 3. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი") | +44 |
| 4. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | +56 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +1.03 |



# კლიჩკოს ტაქტიკა და ტექნიკური ნოკაუტი

**შაბათს,** გვიან ღამით, ვლადიმირ კლიჩკომ დაამტკიცა, რომ კვლავაც მსოფლიოს უძლიერესი მძიმეწონოსანი მოკრივეა. უკრაინელმა მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი ტონი ტომპსონი და ამით თავისი **IBF**-სა და **WBO**-ს ტიტულები დაიცვა.

ბრძოლა იმაზე დაძაბული და მძიმე გამოდგა, ვიდრე ამას კლიჩკო მოელოდა. ბოლო ხანებში დამკვიდრებული არცთუ საამაყო ტრადიციისამებრ, მძიმეწონოსანთა არც ეს ჯახი იყო თვალსასეირო, თუმც უკრაინელის ბოლო ბრძოლის დარი კატასტროფაც არ ეთქმოდა. უნდა გახსოვდეთ, უმცროსი კლიჩკოსა და სულტან იბრაგიმოვის თებერვლის დაპირისპირებას რამხელა კრიტიკა მოჰყვა კრივის სპეციალისტთა თუ უბრალო ქომაგებს მხრიდან.

ამჯერად ბრძოლამ უფრო მაღალ ტემპში ჩაიარა, რაც მთავარი რეფერის, ჯო კორტესის დამსახურებაც იყო, რომელიც მოკრივეებს არ აძლევდა კლინჩში დიდხანს დარჩენის საშუალებას. მეორეს მხრივ კი თავად უკრაინელიც ცდილობდა, ჩვეულზე უფრო მეტად აქტიური ყოფილიყო, რადგანაც ჰამბურგში ჩხუბობდა — ვლადიმირმა ხომ პროფესიული კარიერა სწორედ იქ დაიწყო და თან აგერ, უკვე რვა წელია, ამ ჩრდილო-გერმანულ პორტში არ ეჩხუბა. ასე რომ, უკრაინელი მაყურებელთა გულის მოგებასაც ცდილობდა, თუმც სტვენას ვერც იქ ასცდა.

ისე, კლიჩკოს რას ვერჩით, ამდენს კი ვაკრიტიკებთ, მაგრამ ეს უკრაინელი მაინც უდავოდ საუკეთესო მოკრივეა თავის წონაში. მან შაბათსაც დაამტკიცა, რომ დარტყმების ყველაზე მრავალფეროვან არსენალს ფლობს და ყოველთვის შეუძლია ბრძოლის დროს ტაქტიკის ვარირება.

ტომპსონთან ბრძოლისას უკრაინელს საერთოდ არაფერი გამოსდიოდა თავისი საფირმო მარცხენა ჯებით — არადა, ამით ის, როგორც წესი, შედეგიანი ქულების უდიდეს ნაწილს აგროვებს ხოლმე. ამერიკელმა მეტოქის ეს გოროზი იარაღი ნულზე დაიყვანა — იგი ერთ დროს კლიჩკოს სპარინგ-პარტნიორი იყო და კარგად იცნობს მის ძლიერ მხარეებს.

„არაერთხელ განვაცხადე, რომ ტომპსონი დღევანდელი მოკრივეებიდან ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და ჭკვიანი მეტოქე იქნება-მეთქი, რაც გამართლდა კიდეც, თუმც ვლადიმირი მაინც გაუმკლავდა, რაც მის მაღალ კლასზე მიუთითებს" — შეგირდის ქებაში იყო კლიჩკოს მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი.

მოკლედ, კლიჩკოს ტაქტიკის შეცვლა დასჭირდა, რაც მან ბრწყინვალედ მოახერხა — უკრაინელმა მარჯვენა ხელი აამუშავა და აქედან ძალისმიერი დარტყმების გატარება დაიწყო, რაც გადამწყვეტი გამოდგა. ტომპსონი ხომ სწორედ მარჯვნიდან მოქნეულმა დააგდო ფიცარნაგზე.

„როცა გეგმა „ა" არ მუშაობს, გეგმა „ბ" უნდა აამუშავო." — თავმომწონედ განაცხადა ბრძოლის შემდეგ კლიჩკომ.

თუმც ნოკაუტამდე უკრაინელმა ძალიან გრძელი და არანაკლებ მძიმე გზა გამოიარა. განსაკუთრებული დისკომფორტი კლიჩკოს მარჯვენა თვალმა შეუქმნა, სადაც მეორე რაუნდში მეტოქის თავი მოხვდა და სისხლდენა დაეწყო.

— კარგა ხანია, თვალი არ დამსიებიაო — მოგვიანებით პრესკონფერენციაზე იტყვის ვლადიმირი.

უკრაინელს ბრძოლის განმავლობაშიც რამდენჯერმე მწარედ მოხვდა, მაგრამ მთლიანობაში ბრძოლას მაინც ის აკონტროლებდა და როგორც მერე გამოჩნდა, მსაჯების დავთრებში დიდი უპირატესობით იგებდა. დარბაზიდან სტვენა კი მე-10 რაუნდში გაისმა, როცა კლიჩკო უხერხულად მოქნეულის შემდეგ დაბარბაცდა და მეტოქეს დაეტაკა, ორივე წაიქცა. თუმც უკრაინელმა მაყურებლის კეთილგანწყობა მალევე დაიბრუნა და შემდეგი რაუნდის შუაწელზე მეტოქე ძირს დააგდო. ამ დროს დარბაზი მთელი ხმით სკანდირებდა: „კლიჩკო", „კლიჩკო"!

ტომპსონი კი წამოდგა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ ამერიკელი გვარიანად დარეტიანებული იყო და ბრძოლის გაგრძელებას ვერ შეძლებდა, რის შემდეგაც კლიჩკოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

უკრაინელის შემდეგი მეტოქე კი სავარაუდოდ რუსი ალექსანდრ პოვეტკინი უნდა იყოს, რომელიც შაბათს დარბაზში იჯდა და საეჭვოა, რომ ნანახით ნასიამოვნები დარჩენილიყო — კლიჩკოსნაირ ძლიერ მეტოქეს ის აქამდე ნაღდად შეხვედრია.

**ბაჩა ლომაშვილი**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 14 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 1 | ლინი-ბრანი | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 14 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 2 | ორებრო-სუნდსვალი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 22:00 | 3 | მალმიო-ჰამარბი | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა 14 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 4 | ინტერი-მიუპა | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| | | ისლანდია პრემიერ დივიზიონი 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 5 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:15 | 6 | ფრამი-კეფლავიკი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | უეფა. ევროპის ჩემპიონატი 19 14 ივლისი | | | | | | |
| 17:30 | 7 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 17:30 | 8 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 19:30 | 9 | გერმანია19-ესპანეთი19 | 3.35 | 3.30 | 1.90 | 1.66 | 1.21 | 1.20 |
| 19:30 | 10 | საბერძნეთი19-იტალია19 | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლინი-ბრანი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10002 | ორებრო-სუნდსვალი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10003 | მალმიო-ჰამარბი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10004 | ინტერი-მიუპა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10006 | ფრამი-კეფლავიკი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 3.75 | 2.00 | 2.40 | 1.30 | 1.46 | 1.09 |
| 10010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლინი-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ორებრო-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | მალმიო-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ინტერი-მიუპა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ფრამი-კეფლავიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლინი-ბრანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11002 | ორებრო-სუნდსვალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11003 | მალმიო-ჰამარბი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11004 | ინტერი-მიუპა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11006 | ფრამი-კეფლავიკი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლინი-ბრანი | 1.95 | 1.65 |
| 16002 | ორებრო-სუნდსვალი | 1.50 | 2.30 |
| 16003 | მალმიო-ჰამარბი | 1.34 | 2.80 |
| 16004 | ინტერი-მიუპა | 1.52 | 2.20 |
| 16005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 1.14 | 4.70 |
| 16006 | ფრამი-კეფლავიკი | 1.80 | 1.80 |
| 16007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 2.05 | 1.65 |
| 16008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 1.85 | 1.80 |
| 16009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 2.30 | 1.45 |
| 16010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 2.45 | 1.40 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლინი-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ორებრო-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მალმიო-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ინტერი-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ფრამი-კეფლავიკი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 1.85 | 1.95 |
| 17009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლინი-ბრანი | 1.95 | 1.85 |
| 14002 | ორებრო-სუნდსვალი | 1.75 | 2.10 |
| 14003 | მალმიო-ჰამარბი | 1.70 | 2.20 |
| 14004 | ინტერი-მიუპა | 1.75 | 2.10 |
| 14005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური | 1.30 | 2.50 |
| 14006 | ფრამი-კეფლავიკი | 2.00 | 1.80 |
| 14007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 | 2.10 | 1.75 |
| 14008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 | 1.95 | 1.85 |
| 14009 | გერმანია19-ესპანეთი19 | 2.20 | 1.70 |
| 14010 | საბერძნეთი19-იტალია19 | 2.30 | 1.65 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლინი-ბრანი 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ორებრო-სუნდსვალი 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12003 | მალმიო-ჰამარბი 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12004 | ინტერი-მიუპა 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12005 | ბრეიდაბლიკი-კოპავოგური 2,5 | 2.10 | 1.50 |
| 12006 | ფრამი-კეფლავიკი 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12007 | ბულგარეთი19-უნგრეთი19 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12008 | ჩეხეთი19-ინგლისი19 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12009 | გერმანია19-ესპანეთი19 2,5 | 1.80 | 1.70 |
| 12010 | საბერძნეთი19-იტალია19 2,5 | 1.70 | 1.80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოულსენი გადაწყდა

## ხუთგოლიანი დებიუტი და ანდრადეს ტრაგედია



კრისტიან პოულსენი

**ტურინის** „იუვენტუსი“ მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა და ამხანაგურად სერია C2-ის ბინადარ „მეცოკორონას“ გაეჯიბრა. ეს შეხვედრა „ბებერმა ქალბატონმა“ 7:1 მოიგო, მაგრამ ანგარიშზე ბევრად მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ კლუბის ახალწვეულმა ამაურიმ ამ შვიდი გოლიდან ხუთი გაიტანა და შთამბეჭდავი დებიუტი გამოუვიდა.

„დიდი მადლობა თანაგუნდელებს, რომლებიც გოლების გატანაში დამეხმარნენ. ყველას კარგად შევეწყვე და სწორ გზაზე ვდგავართ, რაც მახარებს. ბედნიერი ვარ, რომ შთამბეჭდავი დებიუტი გამომივიდა, ეს მორალურად დამეხმარება და იმედია, ასე გავაგრძელებ“ — თქვა ამაურიმ.

„ბიანკონერის“ შეუერთდა კიდევ ერთი ახალწვეული ოლოფ მელბერგიც. შეგახსენებთ, რომ ტურინელებმა შვედი ბირმინგემის „ასტონ ვილადან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატეს.

„ვიცი, მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძლიერეს კლუბში მოვედი. როცა გავიგე, რომ ჩემით „იუვენტუსი“ იყო დაინტერესებული, სხვა წინადადებები აღარც განმიხილავს. იანვრიდან მოყოლებული, „ბიანკონერის“ ყველა მატჩი ვნახე და თანაგუნდელებიც კარგად გავიცანი. ფანებითაც აღფრთოვანებული ვარ. შვედეთში იტალიური ფეხბურთი ძალიან გვიყვარს და გვაინტერესებს, „იუვე“ კი ყველაზე საყვარელ კლუბებს შორისაა. გუნდში ბევრი კარგი მცველია, მაგრამ კონკურენცია არასდროს მაშინებდა, ამისთვის მზად გახლავართ. თითქმის მთელი კარიერის განმავლობაში ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი, ეს ჩემთვის ყველაზე მისაღები პოზიციაა, მაგრამ „ასტონ ვილაში“ მატჯვენა ფლანგზეც გავრჯილვარ. მჯერა, ყველანი ერთად შევძლებთ „ბებერი ქალბატონის“ მწვერვალზე დაბრუნებას“ — განაცხადა მელბერგმა.

„ბიანკონერის“ ბანაკში ერთი ცუდი ამბავიცაა. ჟორჟე ანდრადეს მარცხენა მუხლზე ბოლო წელიწადში უკვე მესამე ოპერაცია ესაჭიროება და ექიმები მის თამაშს მომავალ სეზონშიც გამორიცხავენ. პირადად ფეხბურთელისთვის და კლუბისთვისაც ეს ნამდვილი ტრაგედიაა.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის პორტუგალიელი „იუვენტუსმა“ გასულ ზაფხულს „დეპორტივოდან“ დაიმატა, მაგრამ ანდრადემ მხოლოდ 4 მატჩის ჩატარება მოასწრო და მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მთელი სეზონი გაუცდა და წესით, მინდორს ახლა უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ ვარჯიშისას ისევ დაშავდა და...

ამასობაში გადაწყდა კრისტიან პოულსენის „სევილიადან“ „იუვენტუსში“ გადასვლა. გავრცელებული ინფორმაციით, ტურინელები დანიელში 10 მილიონ ევროს გაიღებენ, მასთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებენ და სეზონში 3 მილიონ ევროს გადაუხდიან.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ გაფორმებულა, ქომაგები მის გაპროტესტებას აგრძელებენ. ისინი პინცოლოს საწვრთნელ ბაზაზე ხელმძღვანელობისკენ მიმართული ტრანსფარანტით მივიდნენ: „სასაცილონი ხართ! კიდევ ერთი ნაგავი დაიმატეთ — პოულსენი“.

28 წლის ნახევარმცველი კი ამბობს, ფანებს დავუმტკიცებ რომ ისინი ცდებიან და ჩემზე აზრს შევაცვლევინებო:

„ერთი სული მაქვს, თამაშს როდის დავიწყებ. თუმცა ვიცი, პირველ მატჩებში გამიჭირდება. განსაკუთრებით მილანსა და რომში წარსულის ინციდენტების გათვალისწინებით. ვიცი, რომ პროვოკატორის რეპუტაცია მაქვს, მაგრამ ეს არ მაღელვებს. „იუვენტუსმა“ დაიმატა ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვის და 100 პროცენტით იხარჯება. ვამაყობ, რომ მებრძოლი ვარ და ვეცდები, ფანებს ჩემზე აზრი რაც შეიძლება მალე შევაცვლევინო. ვეცდები, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. „იუვენტუსი“ დანიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდია, განსაკუთრებით მას მერე, რაც ტურინელთა რიგებში მიქაელ ლაუდრუპი თამაშობდა“ — თქვა პოულსენმა.

აღსანიშნავია, რომ ინციდენტებში პოულსენმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფრანჩესკო ტოტისთან წაჩხუბება იგულისხმა. მაშინ „რომას“ კაპიტანმა დანიელს შეაფურთხა... ჩემპიონთა ლიგაში კი პოულსენს „მილანის“ ლიდერ კაკასთან ჰქონდა შეხლა-შემოხლა. ამის გამო პოულსენი იტალიაში განსაკუთრებით არ უყვართ.

**გიორგი ძაძამიძე**



ხუან სებასტიან ვერონი

# ყალბი პასპორტები

**არგენტინაში** ხელახლა აგორდა სკანდალი ფეხბურთელთათვის არალეგალური იტალიური პასპორტების გაკეთებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს და წარსულში ცნობილ ნახევარმცველ ხუან სებასტიან ვერონსაც შეეხო.

მოსამართლე ნორბერტო ოიარბიდეს მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ, არგენტინის 6 ქალაქში პოლიციამ ასზე მეტი რეიდი ჩაატარა და 24 ადამიანი დააპატიმრა. მაქინაციებში 300-ზე მეტი პირია ეჭვმიტანილი. არალეგალური გზით ყალბი იტალიური პასპორტის აღება რამდენიმე დღეშია შესაძლებელი და ეს 20-25 ათასი ევრო ჯდება. ლეგალურად კი ამ პროცესს თვეები, ზოგჯერ კი წლები სჭირდება.

ეჭვმიტანილებს შორის არიან „ინდეპენდიენტედან“ „ნაპოლიში“ ახლახან გადასული ხერმან დენისი და „რივერ პლეიტიდან“ „ლაციოში“ გადაბარგებული ხუან პაბლო კარისო. თუმცა ამ ფეხბურთელებსა და მათ კლუბებს სპორტული სანქციები არ ემუქრებათ, რადგან ისინი რეგისტრაციაში როგორც არაევროკავშირელები გაატარეს და იტალიური პასპორტები ამ საქმეში არ გამოუყენებიათ.

არგენტინული „კლარინისა“ და „ლა ნასიონის“ ცნობით, მაქინაციებში ცნობილი აგენტებიც არიან გარეულები. მათ შორის, ხორხე იდალგო, გუსტავო მასკარდი, ლეონარდო როდრიგესი და სხვანი.

გამოძიება გრძელდება და მალე, ალბათ, ახალი დეტალები და ფაქტები გახდება ცნობილი.

**ძოძი ძანდელაძი**

# ტოტი ნაკრებში ბრუნდება?

**„რომას“** კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მოულოდნელი განცხადება გააკეთა — ნაკრებში დაბრუნება არ გამორიცხა. არადა, აქამდე თითქოს კვლავ უარზე რჩებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მარჩელო ლიპის „სკუადრა აძურას“ მწვრთნელად დაბრუნება მაინც ახდენს თავის გავლენას.

„ვფიქრობ, ლიპიმ სწორი კომენტარები გააკეთა. მასთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთაც და სწორედ ამიტომ ველაპარაკებით ტელეფონით ერთმანეთს ხშირად. პოსტზე დაბრუნების შემდეგ მარჩელო ყველაფერს კარგად შეაფასებს და გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. ჩემი დაბრუნების ვარიანტზე მასთან არასდროს მილაპარაკია, ამას ალბათ ცოტა მოგვიანებით გავაკეთებთ“ — თქვა ტოტიმ.

ახლა „პუპონე“ ნაკრებში დაბრუნებაზე მეტად, ცხადია, ტრავმის მოშუშებაზე ფიქრობს. იგი აპრილის მერე უთამაშებელია და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება მინდორს.

„ყველაფერი კარგად ვითარდება. ბურთი ძალიან მომენატრა. ნელნელა ვვარჯიშობ და რამდენჯერმე დარტყმაც ვცადე, მუხლს კარგი რეაქცია ჰქონდა, რაც მახარებს. ბევრჯერ ვთქვი, რომ 24 აგვისტოს „ინტერთან“ იტალიის სუპერთასის მატჩისთვის მინდა დაბრუნება და იმედია, ასეც იქნება. თუმცა, თუ ბოლომდე მზად არ ვიქნები, მინდორზე ვერ გავალ, ახლა გარისკვა არ შეიძლება“ — აღნიშნა ტოტიმ.

მან ახალ კონტრაქტზეც ილაპარაკა, რომელიც „რომასთან“ უნდა გააფორმოს და წესით, ეს შეთანხმება ტოტის კარიერის ბოლომდე დატოვებს „ჯალოროსიში“.

„თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია. პრესიდენტს ამაზე დიდი ხნის წინ ველაპარაკე და ის ყოველთვის ამბობდა, მთელი ცხოვრება აქ უნდა გაატაროო. ვფიქრობ, ახალ კონტრაქტს მალე გავაფორმებთ. მოქმედ შეთანხმებას კი 2010 წლამდე აქვს ვადა, ასე რომ, იქამდე ვერ გამაგდებენ...“ — ღიმილით დასძინა ტოტიმ.

**გიორგი ძაძამიძე**



ფრანჩესკო ტოტი და მარჩელო ლიპი

# ქმარი გაყიდეს, ცოლს ყიდიან
## ბულგარეთის პოლიცია აკენწლეს


ანგელ ბონჩევი

**კინოს** სცენარი თუ გნებავთ, ესაა: თითქმის ორი თვის წინ გატაცებული ანგელ ბონჩევი გაათავისუფლეს და მისი ცოლი კამელია მძევლად აიყვანეს.

ლოვეჩის „ლიტექსის" 47 წლის პრეზიდენტი ანგელ ბონჩევი 22 მაისს საკუთარი ეზოდან გაქრა. ცოლშვილი სახლში შევიდა, ის კი ავტომობილს აჩერებდა და იმ დროს დაეცნენ.

ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში პრეზიდენტის გასათავისუფლებლად თვეზე მეტხანს საგანგებოდ ემზადებოდნენ.

გამტაცებლებმა ბონჩევში მილიონნახევარი ევრო მოითხოვეს და ფული მათთვის ქალბატონ კამელიას უნდა გადაეცა.

ბულგარელმა სპეცრაზმელებმა პარასკევს გენიალური ოპერაცია ჩაატარეს. კამელია ბონჩევამ მილიონნახევარი ევრო მიიტანა, სადაც დაიბარეს, ფული გამოართვეს და მძევლად აიყვანეს.

მოგვიანებით მისი ქმარი გაუშვეს და პოლიციამ პრეზიდენტი სოფიაში, კნიაჟევოს რაიონში შოკურ მდგომარეობაში იპოვა.

დამნაშავეებმა ბულგარეთის შსს მასხრად აიგდეს. ახლა უკვე კამელია ბონჩევას სანაცვლოდ მილიონ ევროს ითხოვენ.

ოპოზიციური, მემარჯვენე-დემოკრატიული პარტიის წევრმა ატანას ატანასოვმა დრო იხელთა მთავრობის გასაკრიტიკებლად და შინაგან საქმეთა მინისტრს მიხაილ მიკოვს გადასწვდა: „ორი თვე ამისთვის ემზადებოდნენ? ეს ხომ დაცინვაა. არსებობს უკეთესი ქვეყნების გამოცდილება, მაგრამ არც აშშ-ს და არც ინგლისს დასახმარებლად არ მიმართეს".

ნატანჯ-ნაწამები პრეზიდენტი ველარ აზროვნებს. ექიმმა სტოიან ტონევმა განაცხადა; „მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ დროის და სივრცის შეგრძნება დაკარგა. შოკიდან ვერ გამოდის და ვერავის ვერ სცნობს".

ყოფილი მოჭიდავე ანგელ ბონჩევი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია. „ლიტექსში" მოჭიდავეთა კლუბსაც პატრონობს, რომელიც ბოლო წლებში ბულგარეთში უძლიერესია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მილანს ადებაიორიც უნდა, რონალდინიოც და შევჩენკოც

**იტალიურ** „მილანს" „არსენალთან" ემანუელ ადებაიორის ტრანსფერზე შეთანხმება არაფრით გამოსდის და ახლა უფრო რეალური „როსონერიში" რონალდინიოს გადასვლაა, ვიდრე ტოგოელი ფორვარდის. მეტიც, იტალიურ-ესპანური ჟურნალ-გაზეთების ვერსიით, შესაძლოა, ტრანსფერი დღეს-ხვალ გაცხადდეს.

ამბობენ, რონალდინიო უარს იტყვის „ბარსელონასთან" ერთად მომავალი სეზონის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებაზე, ხოლო მისი ძმა და აგენტი რობერტო დე ასისი კატეგორიულად მოითხოვს, წასვლის ნება მოგვეცითო. ბოლო-ბოლო, ფიფას წესების თანახმად, ბრაზილიელს თავისი ორი წლის ხელფასისი საფასურად შეუძლია საკუთარი თავის გამოსყიდვა და თავისუფალ აგენტად ქცევა.

გავრცელებული ინფორმაციით, რონალდინიომ უკვე შეათანხმა „მილანთან" ოწრლიანი კონტრაქტი და სეზონში დაახლოებით 5,5 მილიონ ევროს მიიღებს.

პარალელურად, „როსონერი" თურმე არც ანდრეი შევჩენკოს ივიწყებს და ამ ვარიანტზეც აგრძელებს მუშაობას. „როსონერიში" დაბრუნება თავად უკრაინელსაც ძალიან რომ სურს, არახალია და იგი მზადაა, ხელფასის საგრძნობლად შემცირებას დათანხმდეს.

„როსონერის" „შევას" დაბრუნების ორი ვარიანტი აქვთ ან მისი ყიდვა, ანაც თხოვება, რაც უფრო სავარაუდოა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი შევჩენკოსა და ლონდონელთა ტრანსფერების


ანდრეი შევჩენკო

შეფს პიტერ კინიონს კიდევ ერთხელ შეხვედრია. მოლაპარაკებები გრძელდება.

ის ფაქტი, რომ მილანელები ერთდროულად ცდილობენ შევჩენკოს, ადებაიორისა და რონალდინიოს ხელში ჩაგდებას, დიდად არ სიამოვნებს მარკო ბორიელოსა და მის აგენტ ტიბერიო კავალიერის, რომელმაც თქვა, ჩემს კლიენტს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავსო.

შეგახსენებთ, რომ ბორიელო წინა სეზონში იჯარით თამაშობდა „ჯენოაში" და 19 გოლი გაიტანა. მას „როსონერის" ძირითად შემადგენლობაში სურს დამკვიდრება, მაგრამ თუ ძალიან დიდი კონკურენცია იქნება, შესაძლოა, ისევ სხვა კლუბში გადასვლა არჩიოს.

**ქოქი ქანდელაკი**

# ტორინო მეკარეებს აგროვებს


მატეო სერენი

**„ტორინო"** ერთბაშად სამ მეკარესთან დებს ხელშეკრულებას. პირველ ორ შემთხვევაში კონტრაქტის გახანგრძლივებასთან გვაქვს საქმე. ტურინელთა ნომერ პირველი მეკარე მატეო სერენი, სავარაუდოდ, 2011 წლამდე დარჩება კლუბში. რაც შეეხება „ტორინოს" მეორე გოლკიპერს, ვეტერან ალბერტო მარია ფონტანას, ის მხოლოდ ერთი სეზონით გაახანგრძლივებს კონტრაქტს.

ამავდროულად, პიემონტელებმა „ატალანტადან" კიდევ ერთი მეკარე, ალექს კალდერონი გადმოიყვანეს. მიუხედავად ამისა, კლუბის ნომერ მეორე მეკარე, ფონტანა ოპტიმისტურად არის განწყობილი: „ძალიან ბედნიერი ვარ. ვერც კი წარმომედგინა თავი სხვა კლუბის მაისურით. მოუთმენლად ველოდები წინასასეზონო მატჩებს, რათა ყველას დავუმტკიცო ჩემი შესაძლებლობები" — ვკითხულობთ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გარდა მეკარეებისა, „ტორინოს" მცველებიც სჭირდება. უკვე მიღწეულია შეთანხმება „უდინეზესთან" და მცველი რიკარდო კოლომბო მომავალ სეზონს ტურინში დაიწყებს.

**არჩილ ძოწაძე**

## გუზანი ვილაში გადადის

**ამერიკელი** გოლკიპერი ბრედ გუზანი „ასტონ ვილაში" გადადის. ინგლისური კლუბი უკვე შეუთანხმდა ფეხბურთელის ამჟამინდელ მფლობელს, მეიჯორლიგელ „ჩივასს" ტრანსფერის თანხაზე.

„ბრედი ინგლისში მიემგზავრება. ჩვენ კი მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი კლუბის კიდევ ერთი წარმომადგენელი ითამაშებს ევროპაში" — აღნიშნა „ჩივასის" დირექტორმა ხორხე ვერგარამ.

## რედნაპი დაცვას ამაგრებს

**ინგლისური** „პორტსმუთის" მთავარ მწვრთნელ ჰარი რედნაპს ახალი სეზონის წინ ორი მცველის დამატება სურს — ტოტენჰემელი იუნეს ქაბულით და რედინგელი ნიკი შორით არის დაინტერესებული.

„შემადგენლობის გაძლიერებას ყოველთვის ვცდილობთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით ვაგრძელებთ სხვადასხვა ვარიანტის განხილვას. როდესაც გუნდი უეფას თასზე გამოდის, მას ბევრი თამაშის ჩატარება უხდება, ამისთვის კი გრძელი სათადარიგოთა სკამია საჭირო" — ამბობს რედნაპი.

## სტოიკოვიჩი ევერტონში?

**ლისაბონის** „სპორტინგის" მეკარე ვლადიმირ სტოიკოვიჩი „ევერტონთან" ერთად ვარჯიშობს.

„თუ „ევერტონის" მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი მოინდომებს სტოიკოვიჩის თავის კლუბში ხილვას, მაშინ ყველა საკითხი სწრაფად მოგვარდება. ჯერჯერობით არენდის ვარიანტი განიხილება" — განაცხადა მეკარის აგენტმა ზორან სტოიადინოვიჩმა.

## ალბიონს ჩეხი უნდა

**პრემიერლიგაში** აღზევებული „ვესტ ბრომვიჩი" „პორტუს" მცველ მარეკ ჩეხითაა დაინტერესებული. „ყველაფერი ახლო მომავალში გადაწყდება. კლუბს ჩეხის გაშვება არ სურს, თუმც საკმაოდ მიმზიდველი წინადადება მიიღო ინგლისელებისგან. ჯერჯერობით მარეკი „პორტუს" მოთამაშეა და სიტყვა სწორედ პორტუგალიურ კლუბზეა" — თქვა ფეხბურთელის აგენტმა იურაი ვენგლოშმა.

## ხეტაფემ ქაში ისურვა

**თურქეთის** ნაკრებისა და „ბეშიქთაშის" მცველი იბრაჰიმ ქაში „ხეტაფეში" გადავიდა. 21 წლის ფეხბურთელმა ესპანურ კლუბთან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## ბასკი გალისიაში

**გოლკიპერი** დანიელ არანსუბია „დეპორტივოს" საკუთრება გახდება. გასული სეზონი ბასკმა ბილბაოს „ატლეტიკოში" გაატარა. ამ კლუბთან მას კონტრაქტი 30 ივნისს ამოეწურა, ლაკორუნიელებთან დადებული ხელშეკრულება კი 3-წლიანია.

## ჟიული და პსჟ

**იტალიური** „რომას" ნახევარმცველი ლიუდოვიკ ჟიული, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება. ფეხბურთელით დედაქალაქური პსჟ-ა დაინტერესებული, რომელიც მზადაა, ლიუდოვიკში 2 მილიონი ევრო გადაიხადოს. თვითონ ჟიულის განცხადებით, მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია.

## არგენტინელი ხორვატი

**ამსტერდამის** „აიაქსის" არგენტინელმა ფეხბურთელმა დარიო ცვიტანიჩმა თავისი ისტორიული სამშობლოდან — ხორვატიიდან — მიიღო წინადადება, რომ ამ ქვეყნის ნაკრების მაისურით ითამაშოს.

ამის შესახებ თვით ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლაცკო მარკოვიჩმა განაცხადა: „დარიო კარგი მოთამაშეა, ამიტომ ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მას ხორვატიის ნაკრებში გადმოსვლა სურს. იგი არგენტინაში გადაბარგებული ხორვატი ემიგრანტების მესამე თაობას მიეკუთვნება და სრული უფლება აქვს, ხორვატიული პასპორტი მიიღოს.

## აუგუშტუ ფარმაცევტი გახდა

**ლევერკუზენის** „ბაიერმა" ბრაზილიელ ნახევარმცველ რენატუ აუგუშტუსთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ადრე 20 წლის ფეხბურთელი „ფლამენგოს" შემადგენლობაში ირიცხებოდა. აუგუშტუ გერმანულ კლუბს ამ ოთხშაბათს, შვეიცარიულ სენტ-გალენში შეკრებაზე შეუერთდება.

## ხარია უკვე სიენელია

**ტოსკანურმა** „სიენამ" ოფიციალურად გაიფორმა „პიაჩენცოს" ნახევარმცველი ჰუსეინ ხარია, რომელიც წინა სეზონში არენდით იმყოფებოდა „სიენას" შემადგენლობაში.

25 წლის მაროკოელმა ასევე არენდით გაატარა 2005-06 წლების სეზონი „რომას" რიგებში და რამდენჯერმე შეცვლაზეც გამოჩნდა. კონტრაქტის მიხედვით, ხარია 5 წლით დარჩება „სიენაში".

## მშვიდობით, ფლორენცია!

**ფლორენციის** „ფიორენტინამ" შეწყვიტა კონტრაქტი ბრაზილიელ ნახევარმცველ გილიერმე დოპრადუსთან. „ფიორენტინამდე" 26 წლის ფეხბურთელი „კატანიასა" და „პერუჯაში" გამოდიოდა, „იებში" გადასვლის შემდეგ კი ერთი სეზონი სერი B-ს „სპეციაში" იჯარით გაატარა. დოპრადუ მეშვიდე ფეხბურთელია, რომელიც ამ ზაფხულს ფლორენციას დატოვებს.

**არჩილ ძოწაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბულგარულ წინწაკაზე დიდი მოთხოვნაა


დიმიტარ ბერბატოვი

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ბულგარელი თავდამსხმელის, დიმიტარ ბერბატოვის შეძენა სურს.

შეგახსენებთ, რომ ბერბატოვი ის ფეხბურთელია, რომელიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ გამოუძღვება — იგი ბულგარელთა კაპიტანი გახლავთ — და რომელზეც, არცთუ დიდი ხნის წინ, ინგლისური გაზეთები წერდნენ, რომ მასში „მანჩესტერ იუნაიტედი“ 20 მილიონ გირვანქას, ანუ 39,53 მილიონ დოლარს იხდის. რაც შეეხება მის ყოველკვირეულ გასამრჯელოს, ალექს ფერგიუსონის ხელქვეით გადასვლის შემთხვევაში, მას 80 ათასი გირვანქა დაენიშნება.

ბერბატოვის აგენტმა ემილ დანჩევმა ბულგარულ „დარიკ რადიოს“ უთხრა:

„დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბერბატოვის შეძენა უნდა, თუმცა ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით“.

აღსანიშნავია, რომ ფერგიუსონმა შარშანაც მოუსინჯა ბულგარელს ნიადაგი, მაგრამ მაშინ ბერბატოვმა ჩრდილოეთ ლონდონში დარჩენა ამჯობინა. ასეთივე რამ მოხდა 2006 წელსაც, როდესაც ბერბატოვმა „ლევერკუზენიდან“ 16 მილიონ ევროდ ზემოხსენებულ „ტოტენჰემს“ მიაშურა და არა „იუნაიტედს“.

ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ინგლისში ნაჩვენები ოსტატობის გამო 27 წლის ფორვარდით ევროპის სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი.

მოგეხსენებათ, „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ გასულ სეზონში ინგლისის ლიგის თასი მოიპოვა და ამ წარმატებას ლონდონელებმა მნიშვნელოვანწილად დიმიტარ ბერბატოვის დახმარებით მიაღწიეს.

**პაპუნა ძიდია**



# კარლუშ კეირუში მილიონად გაყიდეს

**კარლუშ კეირუში** პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ალექს ფერგიუსონს არ ეთმობოდა, მაგრამ ძალით ვერ დააკავებდა. ერთი პორტუგალიელი გაექცა, მეორე, კრიშტიანუ რონალდუც გაურბის.

„მანჩესტერის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟილბერტუ მადაილს შეხვდა და მოურიგდა, რომ „მანჩესტერი“ კომპენსაციად 1 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„როგორც ყველა პორტუგელიელს, მეც მსურს, ქვეყანას ვემსახურო და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ ნაკრებში“ — განაცხადა 55 წლის კეირუშმა.

ალექს ფერგიუსონის თანაშემწეობის დიდი შანსი აქვს ესპანელ პაკო აიესტერანს, რომელიც „ლივერპულში“ მუშაობდა. აიესტერანი რაფაელ ბენიტესთან ერთად იყო 2004 წლიდან, მაგრამ შარშან სექტემბერში გაებუტა და შინ დაბრუნდა. მას „ლივერპულთან“ ამ წლის ივლისამდე კონტრაქტი აკავშირებდა და სხვაგან მუშაობის უფლება არ ჰქონდა, ახლა კი თავისუფალია.

კარლუშ კეირუშის კიდევ ერთ შემცვლელად „ბორდოს“ მწვრთნელი და „მანჩესტერის“ ყოფილი მცველი ლორან ბლანი მოიაზრება.

კეირუში ქალაქ ნამპულაში, პორტუგალიის ყოფილ კოლონია მოზამბიკშია დაბადებული. მოზამბიკისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების (1975) შემდეგ პორტუგალიაში გადასახლდა.

ფეხბურთელობაში თავი არაფრით გამოუჩენია და 29 წლისამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ჯერ თანაშემწედ მუშაობდა „ეშტორილ პრალიაში“, მერე კი 17-წლამდელთა თავკაცად დანიშნეს და ევროპის ჩემპიონი გახდა. შემდეგ 20-წლამდელები მსოფლიოს ჩემპიონობამდე ორჯერ მიიყვანა, რასაც ეროვნულ ნაკრებში (1991-1993) და „სპორტინგში“ ოწლიანი მუშაობა მოჰყვა (1993-1994).

კეირუშმა მოიარა ნიუ იორკის „მეტროსტარზი“, „ნაგოია გრამპუსი“, საემიროების და სამხრეთ აფრიკის ნაკრები და ბოლოს „მანჩესტერში“ ჩაუშვა ღუზა. იქიდან მადრიდის „რეალში“ ერთი წლით წავიდა და 2004-ში ისევ ფერგიუსონთან დაბრუნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩესტერმა დაიწყო

**პრემიერლიგისა** და ჩემპიონთა ლიგის წლევანდელმა გამარჯვებულმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ — წინასასეზონო მზადება მოგებით დაიწყო. სპარინგ-პარტნიორად მანჩესტერელთა თავკაც ალექს ფერგიუსონის ყოფილი კლუბი, შოტლანდიური „აბერდინი“ მოგვევლინა, რომელთან ერთადაც მხცოვან სპეციალისტს თასების მფლობელთა თასიც კი მოუგია შორეულ 1983-ში.



„პიტადრი სტედიუმზე“ გამართულ შეხვედრაში „წითელმა ეშმაკუნებმა“ ორჯერ დალაშქრეს მოწინააღმდეგის კარი, საკუთარი კი მშრალად შეინახეს, მიუხედავად იმისა, რომ 72-ე წუთამდე დარაჯად ვინმე ამოსი ეყენათ, ხოლო ბოლო 19 წუთს — ვინმე ვუდსი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ფერგიუსონმა ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოუშვა მინდორზე. ხსენებული ორი მეკარის გარდა, სასტარტო შემადგენლობაში იმყოფებოდა ახალბედა მარტინი, ხოლო შეცვლაზე შევიდნენ გიბსონი და ჰიუსონი. გოლები კი კარგად ნაცნობმა კერიკმა და რუნიმ გაიტანეს. პირველმა 45-ე წუთზე რუნის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა, უეინმა კი 69-ე წუთზე ფლეტჩერის ჩამოწოდებული თავით აქცია გოლად.

**არჩილ ძოგახიძე**

# კლინსმანს პოდოლსკიც სჭირდება


იურგენ კლინსმანი

**ევროპის** ჩემპიონატზე რამდენიმე ნაკრებმა 4-5-1 სქემით ითამაშა და მათ შორის გერმანიამაც. ბუნდესნაკრების ყოფილი და ამჟამად „ბაიერნის“ თავკაცი იურგენ კლინსმანი ასეთი განალაგებით მოხიბლული არაა.

„არ მომწონს 4-5-1 — თქვა მწვრთნელმა — ოთხი მცველის წინააღმდეგ ერთი ფორვარდი რომ დატოვო, შეიძლება დიდ დატვირთვას ვერ გაუძლოს. ტრადიციული 4-4-2 მირჩევნია. უმაღლესი კლასის სამი მეგოლე (ტონი, კლოზე, პოდოლსკი) გვაყვს და ერთი თავდამსხმელით თუ ვითამაშებთ, გამოდის, რომ ორი მათგანი სათადარიგოებში უნდა დავტოვო“.

იურგენ კლინსმანმა აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში კლოზე-ტონის დუეტს არ ამოიჩემებს და უფრო მეტ შანსს მისცემს ლუკაშ პოდოლსკის, რომელსაც ოტმარ ჰიცფელდი დიდად არ სწყალობდა.

„ჯერ კიდევ ნაკრების მწვრთნელობისას ვეხმარებოდი „პოლდის“ და კარგად ვიცი, რისი მაქნისია — ბრძანა „ბაიერნის“ თავკაცმა — დარწმუნებული ვარ, ძალიან სასარგებლო ფეხბურთელი დადგება. ევროპის ჩემპიონატზე მარცხენა ნახევარმცველი იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, მისთის ზედგამოჭრილია ცენტრფორვარდობა. რა თქმა უნდა, გოლი შეიძლება საჯარომოს გარედანაც გაიტანოს და შიგნიდანაც, მაგრამ არამც და არამც მარცხენა ფლანგიდან. ყველანაირად დავეხმარები, რომ ამ სეზონში მოუმატოს და წინ ნაბიჯი გადადგას. მისი კონტრაქტი ორი წლის შემდეგ იწურება და შევეცდები, „ბაიერნში“ თავი ბედნიერად იგრძნოს.

ამ ზაფხულს ფეხბურთელების შეძენას აღარ ვაპირებთ, რადგან ამჟამინდელი შემადგენლობით აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## განელი გიანი რენში

**იტალიური** „უდინეზე“ შეუთანხმდა ფრანგულ „რენს“ განელ თავდამსხმელ ასამოა გიანის თაობაზე.

ასამოა პირველი განელია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გოლი გაიტანა. იგი ფრიულელებს ორი წლის განმავლობაში სერია B-ს „მოდენაში“ ჰყავდათ განათხოვრებული. 2007 წლის დასაწყისში იგი დაუბრუნდა „ძებრეტეს“, თუმც ტრავმებმა არ მისცა საშუალება, სრულად გამოემჟღავნებინა საკუთარი პოტენციალი სერია A-ში.

22 წლის გიანმა უკვე გააფორმა შეთანხმება „რენთან“ და ახალ სეზონს იქ დაიწყებს. ფრანგულ კლუბს კი ტრანსფერი 6,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

## ჩიგარინის ერთგულება არ დაუფასეს

**იტალიის** ოლიმპიურ ნაკრებში გამოძახებული პარმელი ლუკა ჩიგარინი სანახევროდ „ატალანტას“ საკუთრება გახდა. „პარმას“ სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, ყველა მოელოდა, რომ 22 წლის ფეხბურთელი დატოვებდა კლუბს, მაგრამ ლუკამ აღნიშნა, რომ „ენიო ტარდინიზე“ ძალიან ბედნიერია. მიუხედავად ამისა, „პარმამ“ მაინც გადაწყვიტა, თავისი ერთგული აღსაზრდელის 50 პროცენტით გასხვისება. ჩიგარინიმ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ატალანტასთან“, ბერგამოელებმა კი მასში 4 მილიონი გირვანქა გაიღეს.

**არჩილ ძოგახიძე**

# ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი



2002 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირი ფერნანდო ტორესი გახდა

## შორია ლიხტენშტაინამდე?

**დღეს** ჩეხეთში ევროპის ჩემპიონატი იწყება 19-წლამდელთა შორის. ამ შეჯიბრებას უეფა 1981 წლიდან ატარებს, თუმცა თავიდან ის 18-წლამდელთა შორის ტარდებოდა, მხოლოდ 2002 წლიდან გადაკეთდა 19-წლამდელთა ჩემპიონატად.

თავის დროზე სწორედ ამ შეჯიბრზე გაიბრწყინეს პირველად ფრანჩესკო ტოტიმ, ტიერი ანრიმ, ფერნანდო ტორესი კი სულაც საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მერვე ჯგუფს საქართველომ უმასპინძლა, შანსიც ეს იყო, მაგრამ რად გინდა: ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილებმა ჯგუფის სამივე მატჩი წააგეს — ნორვეგიასთან, ჰოლანდიასთან და ლატვიასთანაც კი და ბოლო ადგილზე გავიდნენ. ისე კი, სტატისტიკას თუ ჩახედავთ, 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ლიხტენშტაინსაც უთამაშია.

**კოტე კეკელია**

## ფაქტები და ციფრები

### ყველაზე დიდი ანგარიში

საკვალიფიკაციო ეტაპზე: ანდორა 0:13 ჩეხეთი, 2001-2002;

ელიტ რაუნდში: ესპანეთი 8:1 კვიპროსი, 2005-06;

ფინალურ ეტაპზე: ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია, ჯგუფში 2003-04; ესპანეთი 5:0 ავსტრია, ნახევარფინალში 2005-06.

### ჰეთ თრიქი ფინალურ ეტაპზე

ალი ოზთურქი (თურქეთი, 2004), მეტ ფრაიტი (ინგლისი, 2005), იოან გურკუფი (საფრანგეთი, 2005), ილჰან ჰარლაქი (თურქეთი, 2006), ხუან მატა (ესპანეთი, 2006), დავიდ იანჩიკი (პოლონეთი, 2006).

### ფინალური ეტაპის ბომბარდირები

2002: ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) 4

2003: პაულუ სერჟიუ (პორტუგალია) 5

2004: ალი ოზთურქი (თურქეთი) და ლუკაშ პიშჩეკი (პოლონეთი) 4

2005: ბორკო ვესელინოვიჩი (სერბეთი) 5

2006: ალბერტო ბუენო (ესპანეთი) და ილჰან ჰარლაქი (თურქეთი) 5

2007: ანის ბენ-ჰათირა (გერმანია), კევინ მონე-პაკე (საფრანგეთი) და კონსტანტინოს მიტროლილუ (საბერძნეთი) 3

### ფინალურ ეტაპზე უთამაშიათ

5 — გერმანია, ესპანეთი

4 — ჩეხეთი, ინგლისი

3 — ავსტრია, ბელგია, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია

2 — პოლონეთი, სერბეთი, თურქეთი

1 — სომხეთი, ირლანდია, ლიხტენშტაინი, ჩრდ. ირლანდია, რუსეთი, შოტლანდია, სლოვაკეთი, შვეიცარია, უკრაინა, უნგრეთი, ბულგარეთი.

**ჩეხეთი. 14-26 ივლისი**

**A ჯგუფი**

**გერმანია, ესპანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი**

14 ივლისი

ბულგარეთი — უნგრეთი; გერმანია — ესპანეთი

17 ივლისი

ესპანეთი — უნგრეთი; გერმანია — ბულგარეთი

20 ივლისი

უნგრეთი — გერმანია; ესპანეთი — ბულგარეთი

**B ჯგუფი**

**ჩეხეთი, ინგლისი, საბერძნეთი, იტალია**

14 ივლისი

ჩეხეთი — ინგლისი; საბერძნეთი — იტალია

17 ივლისი

ჩეხეთი — საბერძნეთი; ინგლისი — იტალია

20 ივლისი

იტალია — ჩეხეთი; ინგლისი — საბერძნეთი

**ნახევარფინალი**

23 ივლისი

A1 — B2

B1 — A2

**ფინალი**

26 ივლისი

## ყველა ჩემპიონი

1981 — გფრ
1982 — შოტლანდია
1983 — საფრანგეთი
1984 — უნგრეთი
1985 — არ ჩატარებულა
1986 — გდრ
1987 — არ ჩატარებულა
1988 — სსრკ
1989 — სსრკ
1990 — არ ჩატარებულა
1991 — არ ჩატარებულა
1992 — თურქეთი
1993 — ინგლისი
1994 — პორტუგალია
1995 — ესპანეთი
1996 — საფრანგეთი
1997 — ესპანეთი
1998 — ირლანდია
1999 — პორტუგალია
2000 — საფრანგეთი
2001 — პოლონეთი
2002 — ესპანეთი
2003 — იტალია
2004 — ესპანეთი
2005 — საფრანგეთი
2006 — ესპანეთი
2007 — ესპანეთი

# ნუ ახრჩობთ ევროპულ სპორტს

**შესაძლოა,** ისე მოხდეს, რომ პრემიერლიგის კლუბებმა დედამიწის ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდების ყიდვა-დაბევება ველარ შეძლონ — აქეთკენ საქმე ევროპაში ექვს ყველაზე პოპულარულ სათამაშო სახეობათა წარმომადგენლებს მიჰყავთ.

ცნობილი გახდა, რომ უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ბრესტში ევროპულ საქმეთა მინისტრებს შეხვდა და გადასცა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნები თავიანთ აწეწილ საფეხბურთო-სატრანსფერო საქმეებს დაალაგებენ. კერძოდ, რამდენადაც ცნობილია, დოკუმენტში წერია, რომ უნდა აიკრძალოს 18 წლამდე მოთამაშეთა ტრანსფერები, შეზღუდონ უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობა და ფინანსური თაღლითობანი სასტიკად დასაჯონ.

დოკუმენტი, რომელიც ჯერ კიდევ მისაღებია, თვეების განმავლობაში მიმდინარე კამათისა და მსჯელობის შედეგი გახლავთ. მასში ჩადებულია ბიუროკრატიასთან და შეუზღუდავ ვაჭრობასთან ბრძოლის მექანიზმები და დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლოა, ევროპაში სპორტის იერსახე დიდად შეცვალოს.

ამ კანონის მიღება ძირშივე ამოძირკვავს ისეთ ტრანსფერებს, როგორიცაა 17 წლის აარონ რემსის „კარდიფიდან" „არსენალში" გადასვლა ან 16 წლის ჯონ ბოსტოკის „კრისტალ პალასიდან" „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადაბარგება. თავის დროზე ამდაგვარ ტრანსფერთა რიგს განეკუთვნებოდა თეო უოლკოტის გადასვლა „საუთჰემპტონიდან" „არსენალში".

უეფაში მომუშავე მავანმა პიროვნებამ ასე ბრძანა:

„რა აზრი აქვს ფეხბურთელების აღზრდას, თუკი ისინი სულ უფრო და უფრო პატარა ასაკში მიჰყავთ სხვა კლუბებს? გამოდის, რომ გუნდები, რომლებიც სწორად მუშაობენ, უბრალოდ უნდა გაჩერდნენ. იმედი გვაქვს, ევროკავშირი ჩვენს პრობლემას თვალს არ აარიდებს".

კიდევ, პლატინის სურს, რომ ფეხბურთელებმა თავიანთ კლუბებს ისეთი ხელშეკრულებები გაუფორმონ, რომ ახალგაზრდა ნიჭიერ მოთამაშეთა მშობლიური გარემოდან გაქცევა მაქსიმალურად შეიზღუდოს.

პლატინის იდეებს მხარი დაუჭირა გერმანელმა ვარსკვლავყოფილმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, რომელიც ახალდაარსებული ევროპულ კლუბთა ასოციაციის თავმჯდომარეა. მოგეხსენებათ, ამ ასოციაციამ ერთი ხნის წინ ცნობილი G14 ჩაანაცვლა.

„ჩვენ ეს ახალგახზრდები უნდა დავიცვათ — განაცხადა რუმენიგემ, რომელსაც გაახსენდა, რომ სესკ ფაბრეგასი „ბარსელონადან" „არსენალში" 16 წლისა წაიყვანეს — ფაბრეგასისნაირები ასე იოლად ინგლისში არ უნდა გარბოდნენ".

უეფამ ახალგაზრდა მოთამაშეთა ასეთ გადინებას „საყმაწვილო ტრეფიკინგი" უწოდა.

„ჩვენთან, „ბაიერნში" 17-წლამდელთა ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ტონი კროსი თამაშობს. მინდა გითხრათ, რომ მასთან დაკავშირებით ინგლისიდან უკვე ჩამოგვაკითხა 20-ზე მეტმა აგენტმა".

სარაგბო ირბ-ის იურიდიულ საქმეთა ხელმძღვანელმა დარენ ბელილმ კი ასე ბრძანა:

„ჩვენი სახეობა დიდი საშიშროების წინაშე დგას. ევროკავშირი სპორტს ზოგადი კანონმდებლობით ახრჩობს და ჩვენი ტიპის ფედერაციებს მისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებას უკრძალავს. ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას: ვინ უნდა უხელმძღვანელოს სპორტს — ფედერაციებმა თუ სასამართლომ?"

**ბაჩუნა კეღია**



მიშელ პლატინი

# ამბავი საბილეთონი



**ფიფა,** 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბილეთების გავრცელების ახალი სისტემით ხვდება. ფეხბურთის მთავარგამგებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მეთოდის წყალობით სამხრეთ აფრიკაში ჭეშმარიტ გულშემატკივარს ტრიბუნაზე მოხვედრა გაუადვილდება.

ამ საკითხზე სააგენტო „რეიტერთან" უფრო დაწვრილებით მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის ბილეთების გავრცელების ქვეგანყოფილების შეფმა დევიდ უილმა ილაპარაკა. კერძოდ, მან თქვა, რომ შეჯიბრებაში, რომელსაც ორი წლის შემდეგ აფრიკის კონტინენტმა უნდა უმასპინძლოს, ბილეთების ნახევარს მონაწილე ქვეყნების ფანები მიიღებენ. მანვე ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი შავი ბაზრისგან. მისტერ უილის თქმით, 2010 წლის მუნდიალის ბილეთთა მსოფლიო გაყიდვა მომავალი წლის 2 თებერვლიდან დაიწყება.

ახალი გეგმის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შეხვედრაზე მოსული მაყურებლიდან მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელი 12 პროცენტი გახდება. წინა ჩემპიონატებზე ეს რაოდენობა 8 პროცენტი გახლდათ, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფური ეტაპის მატჩებს ეხება, პლეი ოფიდან კი ხსენებული მაჩვენებელი [illegible] 8 პროცენტამდე დავა.

და კიდევ, გასავრცელებლად ფიფა ბილეთებს მონაწილე ქვეყნების ასოციაციებს აღარ დაურიგებს. ამ საქმეს მანჩესტერში მოქმედი ორგანიზაცია Match უხელმძღვანელებს, რომელიც ფიფას პარტნიორია ხალხის მასპინძლობა-განაწილების ამბავში.

„ხშირად გვაკრიტიკებდნენ, რომ ჩვენს მიერ გამოცემულ ბილეთთა უმეტესობა „მსუქნებთან" მიდიოდა, მაგრამ ვფიქრობ, ახლა ვითარება შეიცვლება და სამხრეთ აფრიკაში მაყურებელთა 80 პროცენტი უბრალო ხალხი იქნება. ჩვენ სისტემის გამარტივება და პარალელური ბაზრის საჭიროების ამოძირკვა ვცადეთ".

როგორც მისტერ უილმა განაცხადა, ბილეთები სხვადასხვა ქვეყნების ფან-კლუბებს დაურიგდებათ, ხოლო იქ, სადაც ფან-კლუბები არ არიან, ფან-ვებ საიტები იკისრებენ ამ ფუნქციას.

**პაპუნა ძიძია**

## ინტერტოტოს თასი 2008

### მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

ელფსბორგი (შვედეთი) 2:0 ჰიბერნიანი (შოტლანდია) (2:0)
ბესა (ალბანეთი) 0:3 გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:2)
ჰონვედი (უნგრეთი) 0:2 ტეპლიცე (ჩეხეთი) (3:1)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1:0 ბეერსხოტი (ბელგია) (1:1)
ბნეი საჰნინი (ისრაელი) 1:0 რენოვა (მაკედონია) (2:1)
ბოჰემიანსი (ირლანდია) 2:1 რიგა (ლატვია) (0:1)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 0:2 ჩერნომორეცი (ბულგარეთი) (1:1)
რუსენბორგი (ნორვეგია) 4:0 ეკრანასი (ლიტვა) (3:1)
შახტიორი (ბელარუსი) 0:0 შტურმი (ავსტრია) (0:2)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 1:1 სატურნი (რუსეთი) (0:7)
ოდენსე (დანია) 2:0 ტურკუ (ფინეთი) (2:1)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 3:1 ოფკ (სერბეთი) (0:1)
სივასფორი (თურქეთი) 1:0 გრბალი (ჩერნოგორია) (2:2)
ტავრია (უკრაინა) 3:1 ტირასპოლი (მოლდოვა) (0:0)

### მესამე ეტაპი

ბნეი საჰნინი (ისრაელი) — დეპორტივო (ესპანეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — ნაპოლი (იტალია)
სივასფორი (თურქეთი) — ბრაგა (პორტუგალია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ჩერნომორეცი (ბულგარეთი)
სატურნი (რუსეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ვასლუი (რუმინეთი)
რენი (საფრანგეთი) — ტავრია (უკრაინა)
შტურმი (ავსტრია) — ჰონვედი (უნგრეთი)
ბრედა (ჰოლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ოდენსე (დანია) — ასტონ ვილა (ინგლისი)
ელფსბორგი (შვედეთი) — რიგა (ლატვია)

*I მატჩები გაიმართება 19-20 ივლისს, საპასუხოები — 26-27 ივლისს*

## ამხანაგური მატჩები

### 12 ივლისი

ბაზელი — დორტმუნდი 2:2; ნორდსიელანდი — ვაილე 2:1; სიონდერისკე — ფრემი 1:1; უნიონი — ესბიერგი 1:4; ზვოლე — ტვენტე 2:3; ფენერბაჩე — სუინდონი 1:1; პადერბორნი — კოტბუსი 2:0; აბერდინი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:2; ბრეჩინი — პარტიკი 1:0; ბრონდბიუ — დეპორტივო 1:1; ეინდჰოვენი — ტილბურგი 2:1; ფორესტ გრინი — ბრისტოლი 1:1; მორტონი — ეარი 0:1; ოლდენბურგი — ვერდერი 0:5; სიონი — ევერტონი 1:0; ტრანმერი — ლივერპული 0:1; რექსემი — ვულვერჰემპტონი 1:0; ვუპერტალი — კიოლნი 1:1; ციურიხი — ასტონ ვილა 2:1; ბრნო — გაც მეტანი 0:2; გრენობლი — სტრასბური 0:0; კაიზერსლაუტერნი — ოსიეკი 2:0; სოშო — შახტარი 1:3; გენგამი — ლე ავრი 2:5; რენი — ვალანსიენი 1:0; სენტ ეტიენი — დიჟონი 1:0; ტულუზი — მონაკო 1:1; სპარტაკი (ტრნავა) — ჟილკოვი 2:0; ვატენში — აინტრახტი 0:2; კოპენჰაგენი — ჰერტა 0:0; ვოლფსბურგი — გიმარაეში 1:0; ბრესტი — ლორიანი 1:0; დაინცე — გენტი 0:3; ლიბერეცი — ოლბორგი 0:2; ლიონი — ნიმი 3:2; ნანსი — სედანი 6:1; ოსტენდე — ზულტე-ვარეგემი 0:1; პარი სენ ჟერმენი — შატორო 2:1; ტრუა — მეცი 0:0; მარიბორი — ციბალია 2:0; იანგ ბოისი — ბოტაფოგო 6:0; ქვინზლენდი — პალმეირასი 3:1; კლადნო — მოსტი 0:0; რაპიდი (ბუქარესტი) — პარტიზანი 1:1; უნტერჰახინგი — მიუნხენი 4:2; ლეხი — ვორსკლა 1:1; ამიენი — ბულონი 0:0; ლანსი — მონსი 1:2; ანჟერი — ლე მანი 1:1; კანზას სიტი — ატლასი 2:1; სიგმა — პრეშოვი 2:2; ბანსკა ბისტრიცა — რუხი 1:0; ბრაგა — ლეირია 1:1; ტოლუკა — ტეხასი 3:0; იუვენტუსი — მეცოკორონა 7:0

### 13 ივლისი

სლოვანი — ჟილკოვი 0:1; ემდენი — ჰორსენსი 1:2; ლიპშტადტი — ბაიერნი 1:7; რანდერსი — სილკებორგი 3:0; ცვიკაუ — ბოჰემიანსი 0:0; მიუნსტერი — რეინჯერსი 0:1; სტიაუა — პლზენი 1:1; პანათინაიკოსი — კლუჟი 0:0; მარსელი — ქაამაქსი 2:0; სენტ გალენი — ლევერკუზენი 3:2; გუტერსლოჰი — პორტუ 1:4; აველბახი — ნაპოლი 0:5. ტეხასი — ატლეტიკო (მადრიდი) წუხელ გვიან დამთავრდა, ბლექბერნი — სერკლე გადაიდო

## შვედეთი

### ალსვენსკა. XIV ტური

იურგორდენი — გოტებორგი 1:2; გეფლე — ტრელებორგი 0:1; ნორჩიოპინგი — კალმარი 1:3. იორებრო — სუნდსვალი და მალმიო — ჰამარბი დღეს გაიმართება; გაის — ლიუნგსკილე და ჰელსინგბორგი — აიკ ხვალ; ჰალმსტადი — ელფსბორგი კი ზეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 14 | 10 | 2 | 2 | 32:11 | 32 |
| ელფსბორგი | 13 | 7 | 4 | 2 | 16:4 | 25 |
| აიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 16:11 | 25 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 6 | 4 | 3 | 23:16 | 22 |
| ჰამარბი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:14 | 22 |
| მალმიო | 13 | 5 | 6 | 2 | 18:14 | 21 |
| იურგორდენი | 14 | 4 | 6 | 4 | 14:19 | 18 |
| ჰალმსტადი | 13 | 4 | 5 | 4 | 16:15 | 17 |
| გაის | 13 | 3 | 7 | 3 | 12:12 | 16 |
| ტრელებორგი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:15 | 16 |
| სუნდსვალი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:19 | 12 |
| იორებრო | 13 | 3 | 3 | 7 | 6:18 | 12 |
| გეფლე | 14 | 3 | 2 | 9 | 10:19 | 11 |
| ლიუნგსკილე | 13 | 3 | 1 | 9 | 10:22 | 10 |
| ნორჩიოპინგი | 14 | 1 | 4 | 9 | 13:27 | 7 |

### სუპერეტა. გადადებული მატჩები

ბრომაპოიკარნა — მიალბი 2:1; ენჩიოპინგი — ფალკენბერგი 3:2; ბანგეფლო — ანგელჰოლმი 1:1; ჰეკენი — ასირისკა 1:1

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XIII ტური

ჰამ კამი — რუსენბორგი 2:1; ალესუნდი — ტრომსიო 1:3; ბოდიო გლიმტი — მიოლდე 2:2; ფრედრიკსტადი — ლილესტრიომი 4:0; სტრიომსგოდსეტი — ვოლერენგა 1:3; სტაბეკი — ვიკინგი 0:0. ლინი — ბრანი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრედრიკსტადი | 13 | 8 | 2 | 3 | 23:13 | 26 |
| სტაბეკი | 13 | 7 | 4 | 2 | 21:10 | 25 |
| ტრომსიო | 12 | 6 | 3 | 3 | 15:8 | 21 |
| ლინი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:12 | 20 |
| ვოლერენგა | 13 | 6 | 2 | 5 | 18:14 | 20 |
| ბრანი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:18 | 19 |
| ბოდიო გლიმტი | 13 | 5 | 4 | 4 | 15:17 | 19 |
| რუსენბორგი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:15 | 18 |
| ვიკინგი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | 18 |
| სტრიომსგოდსეტი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:17 | 16 |
| მიოლდე | 13 | 3 | 6 | 4 | 16:16 | 15 |
| ალესუნდი | 13 | 3 | 1 | 9 | 18:29 | 10 |
| ლილესტრიომი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:24 | 9 |
| ჰამ კამი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:22 | 9 |

### I დივიზიონი. XIII ტური

მოსი — ოდ გრენლანდი 3:3; ალტა — ლოვ ჰამი 1:3; ჰიონეფოსი — კონგსვინგერი 4:0; ტრისილი — სპარტა 2:2; ნოტოდენი — სტარტი 2:3; სანდეფიორდი — ჰაუგესუნდი 0:1; სანდნესი — ბრინი 1:1; სიოგნდალი — ჰიოდი 3:1

## ისლანდია

### I დივიზიონი. XI ტური

რეიკიავიკი — ვალიური 1:2; ფიოლნირი — აკრანესი 2:0. ჰაფნარფიორდური — ფილკირი წუხელ გვიან დამთავრდა, ფრამი — კეფლავიკი, გრინდავიკი — თროტური და ბრეიდაბლიკი — კოპავოგური დღეს გაიმართება

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XVI ტური

შიმიცუ — კობე 0:1; ოიტა — ურავა 2:0; ვერდი — კიოტო 0:1; გამბა — კავასაკი 2:1; ნაგოია — კაშივა 1:0; ომია — ივატა 1:2; ძჩიბარა — საპორო 0:3; კაშიმა — ტოკიო 4:1; იოკოჰამა — ნიიგატა 0:1

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**ამკარი 2:0 ლუჩ-ენერგია**

1:0 კუშევი (25), 2:0 დუიმოვიჩი (48)

**სპარტაკი 1:5 ცსკა**

0:1, 0:2, 0:3 ვაგნერ ლავი (15, 34, 44), 0:4 კრასიჩი (51), 1:4 ბაჟენოვი (68), 1:5 ერკინი (77)

**შინიკი 0:0 კრილია**

**ტომი 1:0 ნალჩიკი**

1:0 სკობლიაკოვი (90)

ნალჩიკი: ხომიჩი, ჯუდოვიჩი, ფილატოვი, ამისულაშვილი, იატჩენკო, მაშუკოვი, გეტერიევი, სამსონოვი (ბალოვი 67), ძახმიშევი, სირაძე (ვასინი 84), კალიმულინი (კოჟაროვი 78)

**დინამო 4:2 ლოკომოტივი**

1:0 კერჟაკოვი (12), 1:1 ოდემვინგი (48), 2:1 ხოხლოვი (60), 3:1 სემშოვი (66), 4:1 კლიმავიჩიუსი (69), 4:2 ბილიალეტდინოვი (90)

ლოკომოტივი: პელიცოლი, იანბაევი, ასატიანი, სპახიჩი, გურენკო, გლუშაკოვი, პერეირა, ბილიალეტდინოვი, ტორბინსკი (კოჩიში 71), სიჩოვი (მინჩენკოვი 83), ოდემვინგი

**მოსკვა 0:0 ტერეკი**

**ხიმკი 1:4 ზენიტი**

0:1 ზირიანოვი (27), 0:2 ანიუკოვი (31), 1:2 ბლატნიაკი (81), 1:3 ფაიზულინი (89), 1:4 არშავინი (90)

**რუბინი — სატურნი**

ზეგ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 12 | 8 | 2 | 2 | 19:11 | 26 |
| ამკარი | 12 | 8 | 1 | 3 | 15:6 | 25 |
| დინამო | 13 | 7 | 3 | 3 | 21:16 | 24 |
| სპარტაკი | 13 | 5 | 5 | 3 | 22:21 | 20 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 4 | 3 | 16:12 | 19 |
| ნალჩიკი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:16 | 19 |
| ცსკა | 11 | 5 | 3 | 3 | 16:10 | 18 |
| კრილია | 13 | 4 | 6 | 3 | 17:13 | 18 |
| ტერეკი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:17 | 16 |
| ტომი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:18 | 15 |
| ზენიტი | 9 | 3 | 4 | 2 | 19:13 | 13 |
| სატურნი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:11 | 13 |
| მოსკვა | 13 | 2 | 7 | 4 | 12:14 | 13 |
| შინიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:20 | 10 |
| ლუჩ-ენერგია | 12 | 1 | 5 | 6 | 9:17 | 8 |
| ხიმკი | 13 | 1 | 5 | 7 | 17:31 | 8 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XVIII ტური

დერი — ბრეი 4:0; გალვეი — სლიგო 1:1; დუბლინი — შემროკი 0:2; ფინ ჰარპსი — კორკი 0:1; კობი — სენტ პატრიკსი 0:1 ბოჰემიანსი — დროჰედა გადაიდო

## ჩილე

### კლაუსურა. IV ტური

პალესტინო — სან მორნინგი 1:1; კობრელოა — უნიონ ესპანიოლა 1:1; ო ჰიგინსი — კობრესალი 3:0; უნივ. დე ჩილე — ევერტონი 1:2. რეინჯერსი — ოსორნო, უნივ. კონსეპსიონი — კოლო კოლო, ანტოფაგასტა — უაჩიპატო, აუდაქს იტალიანო — მელიპილია და უნივ. კატოლიკა — ლა სერენა წუხელ გვიან დამთავრდა

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. II ტური

ალტახი — ლინცერი 1:3; მატერსბურგი — რიდი 2:1; რაპიდი — ზალცბურგი 2:2; კაპფენბერგი — ავსტრია 2:2. კერნტენი — შტურმი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინცერი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ზალცბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:2 | 4 |
| რიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| შტურმი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| მატერსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:7 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| კერნტენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კაპფენბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| რაპიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ალტახი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### I დივიზიონი. I ტური

ლუშტენაუ — გრატკორნი 1:1; ადმირა — ავსტრია (მ) 0:1; სენტ პოლტენი — ზალცბურგი (მ) 2:0; გრიოდიგი — ავსტრია (ლ) 2:0; ვოკალბრუკი — ლეობენი 0:0; ნოიშტადტი — ტიროლი 0:3

## აშშ

### მეიჯორ ლიგა. გადადებული მატჩები

კანზასი — ნიუ იორკი 2:1; ლოს ანჯელესი — ჩივასი 1:1; სან ხოსე — კოლორადო 1:1; ჩიკაგო — ტორონტო 2:1; სოლტ ლეიკი — კოლუმბუსი 2:0

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XII ტური

ტამპერე — ჰონკა 1:2; ჰიკ — ჰაკა 1:2; მარიეჰამნი — ლაჰტი 0:1; კუოპიო — იარო 2:0; ვაასა — როვანიემი 1:0. ინტერი — მიუპა დღეს გაიმართება, კტპ — ტურკუ ზეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 11 | 6 | 5 | 0 | 19:7 | 23 |
| ლაჰტი | 12 | 7 | 1 | 4 | 17:12 | 22 |
| მიუპა | 11 | 6 | 3 | 2 | 17:7 | 21 |
| ჰიკ | 12 | 5 | 5 | 2 | 23:11 | 20 |
| ჰაკა | 12 | 6 | 2 | 4 | 16:17 | 20 |
| ჰონკა | 12 | 5 | 3 | 4 | 17:9 | 18 |
| ვაასა | 12 | 4 | 6 | 2 | 9:6 | 18 |
| როვანიემი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 16 |
| ტამპერე | 12 | 3 | 5 | 4 | 17:18 | 14 |
| ტურკუ | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | 14 |
| იარო | 12 | 3 | 4 | 5 | 12:21 | 13 |
| მარიეჰამნი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:18 | 12 |
| კუოპიო | 12 | 2 | 3 | 7 | 10:21 | 9 |
| კტპ | 11 | 0 | 2 | 9 | 6:28 | 2 |

## ბრაზილია

### სერია A. XI ტური

ფლუმინენსე — ვიტორია 2:1; გოიასი — კურიტიბა 2:2; ატლ. პარანენსე — ინტერნასიონალი 1:1; კრუზეირო — ატლ. მინეირო 2:1; იპატინგა — ფიგეირენსე 0:1; სანტოსი — ბოტაფოგო 2:2; სან პაულუ — პალმეირასი 2:1. ფლამენგო — ვასკუ და გამა, გრემიო — პორტუგეზა და ნაუტიკო — სპორტ რესიფე წუხელ გვიან დამთავრდა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge